ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

**გიგი უგულავა: „რაც პარკაძეს მიარჭვეს, მეც იმავეს მომისჯიან“**

პროკურორი გურული: „ბრალდებული უგულავა ისევ დამცინის“




გვ.5

სამშაბათი, 8 მარტი, 2022 №47 (8825) ფასი: 60 თეთრი

# „სალომე ზურაბიშვილს განცხადება მაკრონმა გააკეთებინა“



გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „საქართველოს ხელისუფლება-ოპოზიციას შავი დღეები უდგას“



**„პუტინი სტალინის დატოვებული ტექნიკით იჭიმება“**



**„20-25 ათასი ადამიანია შემოსული ოკუპანტი ქვეყნიდან“**



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ჩვენ უნდა ვიყოთ იქ, სადაც არის მთელი ცივილიზებული სამყარო და არა რუსეთის გვერდით“

**„ხელისუფლებას ვურჩევ, „ჯაყოს ხიზნები“ გადაიკითხოს“**

**გიორგი აბაშიშვილი: „საქართველო რუსეთთან ერთი-ერთზე არ უნდა დარჩეს“**



გვ.3

**ირაკლი ღარიბაშვილი: „ის, რაც უკრაინაში ხდება, კატეგორიულად მიუღებელია“**



გვ.3

**ირაკლი ქადაგიშვილი: „ქართული რძის პროდუქტებისთვის ბაზრის გახსნა რუსეთის პროვოკაციაა“**



გვ.3

**„ეს არის აშშ-რუსეთის ომი უკრაინის ტერიტორიაზე“**



გვ.4

რა პროცესები ვითარდება საქართველოსა და მოლდოვის კონფლიქტურ რეგიონებში უკრაინაში ომის ფონზე

ISSN 1987-9385


4 წამლების ფასი 60-80%-ით არის შემცირებული

5 რუსთავში 80 წლის მამაკაცი 60 წლის მომვლელზე სექსუალურად ძალადობდა

2 პრემიერი ღარიბაშვილი პოლონეთის პრემიერს ესაუბრა

6 ჰააგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის სარჩელის განხილვა დაიწყო

# „სალომე ზურაბიშვილს განცხადება მაკრონმა გააკეთებინა“

## შალვა ხაჭაპურიძე: „საქართველოს ხელისუფლება-ოპოზიციას შავი დღეები უდგას“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.**



***– ბატონო შალვა, უკვე 12 დღეა, მედგრად იბრძვის უკრაინა, იბრძვის მარტო, საკუთარი ძალებით. ზელენსკი ცის დახურვას ითხოვს, მაგრამ ნატო უარზეა, ეს მხარედ ჩართვას ნიშნავს და ჩვენ ჩვენს მოქალაქეებს ვიცავთო. როგორია თქვენი შეფასებები? რთულია პროგნოზები, რით დასრულდება ეს ყველაფერი, მაგრამ, ამ მოცემულობიდან გამომდინარე, რის თქმა შეგიძლიათ?***

– პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ დასავლეთი ეხმარება უკრაინას, ეხმარება იარაღით, ტექნიკით, ასევე მოხალისეებს არ უშლიან, რომ შევიდნენ და იომონ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის. უკრაინა ჩართულია ყველაზე მრავალრიცხოვანი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმპერიალისტური ჯარია რუსული ჯარი, რაღაც საზიზღრობებს ჩადიან. ყველასთვის ცნობილია, საქართველოშიც რა აქვთ გაკეთებული და სირიაშიც. სისასტიკითა და დანაშაულებრივი ქმედებებით გამოირჩევიან, უმოწყალოდ ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას. უკრაინა ამ ომს მოიგებს. ორი ვარიანტია ამ ომის მოგების.

## „პუტინი სტალინის დატოვებული ტექნიკით იჭიმება“

***– რა ვარიანტებია, ან რის ფასად დაუჯდება ეს ყველაფერი?***

– ერთი ვარიანტია, რომ რუსი გავიდა უკრაინის ტერიტორიიდან და ამით მორჩა, ან არ გავიდა, ივაჭრა და დონბასი და რაც აღებული აქვთ, ის დაიტოვეს. ნაცრისფერი მოლაპარაკებით დამთავრდა ეს ომი, რასაც შემდგომში აუცილებლად მოჰყვება რუსეთში პოლიტიკური ცვლილებებიც, იმიტომ, რომ კატასტროფული მდგომარეობაა დღეს რუსეთში. მსგავსი რამ არ ყოფილა არასდროს და ალბათ ეს არ ეგონა არავის.

***– პუტინს ეგონა, რომ წინასაარჩევნოდ წამოწყებული ომით პოზიციებს გაიმაგრებდა, მაგრამ პირიქით მოხდა?***

– დიახ, ასეა. ამერიკის დაზვერვაც ვერ გათვლიდა იმ შედეგს, რომელიც ახლა რუსეთში ხდება. სტალინის შემდეგ ეს სახელმწიფო წევს და იხრჩობა კორუფციაში. ან სხვანაირი როგორ უნდა ყოფილიყო რუსის ჯარი. ის, რითიც დღეს პუტინი იჭიმება, სტალინის დატოვებული ტექნიკაა. რაღაც მიამატეს, მაგრამ ძირითადად მისი დროინდელია. ამ ატომურ ბომბსაც სტალინის დროს ჩაეყარა საფუძველი. საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი დივიდენდებით იმუქრება პუტინი და აშინებს მსოფლიოს.

***– აქვს ამ მუქარის განხორციელების საშუალება? ბირთვულ იარაღს ვგულისხმობ.***

– არა მგონია. ასე მარტივი არ არის ამის წამოწყება. ან რის იმედად იწყებს მესამე მსოფლიო ომს? ხომ ვხედავთ კადრებს, რა ტექნიკა ჰქონიათ რუსებს – დანჯღრეული „კამაზები“ და „მაზები“. არანაირი ატომური ომის დამწყები პუტინი არ არის. ვინ ახვევია გარს პუტინს? გაყიდული, კორუმპირებული ჩინოვნიკები, მათი შვილები, ცოლები, ოჯახები, საყვარლები და შვილების საყვარლები, ყრიან ევროპაში და ამერიკაში და იქ განცხრომით ცხოვრობენ. ახლა უნდათ იმათ იქ ატომური ბომბი?! გამორიცხულია ეს ყველაფერი. მე არასდროს მითქვამს, რომ რუსეთი ომს არ დაიწყებდა. ეს ავადმყოფები, ვიცოდი, რომ იყვნენ ომის დამწყებები. ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში პირველ რიგში საკუთარ თავს აყენებენ დიდი საფრთხის ქვეშ. რაც შეეხება ომის დამთავრების მეორე ვარიანტს, რომლის მომხრეც მე გახლავართ, არის ის, რომ არ უნდა გაჩერდეს უკრაინის არმია რუსეთის საზღვარზე და უნდა ჩამოჰყვნენ პუტინს ბოლომდე! დიდი ალბათობით, ასე არ მოხდება და ეს ომი გაჩერდება საზღვარზე, მაგრამ ამას აუცილებლად მოჰყვება რუსეთში პოლიტიკური ცვლილებები.

***– იმის თქმა გინდათ, რომ პუტინი ყველა შემთხვევაში მარცხდება?***

– რა თქმა უნდა! პუტინი წაგებულია და ეს რეჟიმი წაგებულია. ამის შემდეგ ცივილიზებული სამყარო შეეცდება, რუსეთის ხელისუფლებაში მოიყვანონ ნორმალური ადამიანი, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამ ტერიტორიაზე ხელისუფლებაში იყვნენ ნორმალური, ცივილიზებული ადამიანები და არა ეს ველური მონღოლები, რომლებიც ამდენი ხანი ცდილობდნენ, თავიანთი აყროლებული ჩექმით დაეტერორებინათ მსოფლიო. მოხდა მოსახდენი, თავზე ენგრევათ და ემხობათ ყველაფერი.

***– ამ ფონზე რა სიტუაციაში ვიმყოფებით ჩვენ? სულ ისმის შეფასებები, რომ დანის პირზე დავდივართ. აქეთ ხელისუფლების განცხადებები და ქმედებები, იქით ოპოზიცია. მოგვიწევს ჩაგვითრიონ ამ ომში თუ რა საფრთხეების წინაშეა დღეს ჩვენი ქვეყანა?***

– რა თქმა უნდა, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, დეტალურად უნდა გავაანალიზოთ ყველაფერი. მეორე საკითხია, რატომ არ გვყავს ნორმალური ჯარი? რატომ არ უნდა ეძინოს ქართველს მშვიდად? რატომ არ უნდა გვყავდეს ისეთი არმია, რომ ჩვენი მოსახლეობა დაიცვას?! გვაქვს საერთოდ თავდაცვის სამინისტრო?! მესმის, რომ არ უნდა გააკეთო გამაღიზიანებელი განცხადებები, მაგრამ არც ისეთი განცხადებები უნდა გააკეთო, რომ შენი მოსახლეობა და პარტნიორები გააღიზიანო. ლაპარაკი უნდა იცოდე. რადგან არ იცი ლაპარაკი, უნდა დაგიწეროს ვიღაცამ და უნდა წაიკითხო. სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც ვერ მეტყველებდა ქართულად, გამოთქვა გასაგებად.

***– სალომე ზურაბიშვილი ახსენეთ და რას იტყვით მის ბოლოდროინდელ განცხადებებზე? სირცხვილი მოსწმინდა ერსო. როგორია თქვენი შეფასებები, განუდგა სალომე „ქართულ ოცნებას“?***

– სალომე ზურაბიშვილმა დააფიქსირა ის პოზიცია, რომელიც სწორი იყო და რომელიც უნდა დაეფიქსირებინა. სალომეს ხელისუფლება განუდგა აშკარად, მე რასაც ვხედავ, თუმცა რას ერჩიან, სალომეს ჰქონდა ძალიან სწორი გზავნილები. აბა, რა განცხადებებს აკეთებს ხელისუფლება ან საპატრიარქო, სადღაც ომიაო. უკრაინა სადღაც არის?! ვერ გავიგე, რა გვჭირს, ყველაფერში რუსეთის ფილიალი ვართ?! რა ჰგონია ჩვენს ხელისუფლებას, ამერიკის დაზვერვა არ გვადევნებს თვალს და არ იციან, ჩვენთან რა ხდება?! ძალიან კარგად მუშაობს ამერიკის დაზვერვა. ასევე მინდა გითხრათ, რომ სწორედ საფრანგეთის დაზვერვის დამსახურება უნდა იყოს სალომე ზურაბიშვილის ეს განცხადებები. რის თქმაც მინდა, გამგები კარგად გაიგებს.

***– რას გულისხმობთ, სალომე ზურაბიშვილს, ასევე, როგორც საფრანგეთის მოქალაქეს, საფრანგეთის ხელისუფლებამ გააკეთებინა ეს განცხადებები?***

– არა, ბიჭო, სულ ტყუილად დადის მაკრონთან სალომე. მეტი საქმე არა აქვს მაკრონს, წერტილისხელა საქართველოს პრეზიდენტს ხვდებოდეს დილა-საღამოს. ყველაფერი მომწიფდება ნელ-ნელა. ან ის თუ ვინმეს ჰგონია შემთხვევით, რომ უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარის ან ფრაქციის თავმჯდომარის განცხადებები, ვგულისხმობ არახამიას, ცხელ გულზე გაკეთებული განცხადებებია, ძალიანაც ცდება.



***– ნაცების გარემოცვააო, ჩვენს ხელისუფლებას მზად აქვს პასუხი.***

– მეცინება პირდაპირ ამდენ უგუნურებაზე. ვინმეს ჰგონია, რომ უკრაინის მთავრობა თავად იღებს ასეთ გადაწყვეტილებებს და ამერიკის დაზვერვა და ნატო არ არიან ჩართული ამ ყველაფერში?! ყველა სიტყვა, ყველა განცხადება მათთანაა შეთანხმებული. აგვისტოს ომს პირდაპირ ეთერში გადმოსცემდნენ ჩვენი ჟურნალისტები. იქ ვერც კი გაიგებ სად რა და როდის ხდება. გაირკვა, რომ 2014 წლის მოვლენების შემდეგ დასავლეთი და უკრაინა სერიოზულად ემზადებოდნენ ამ ომისთვის. თუ რუსეთი გადადგამდა ამ ნაბიჯს, ამისთვის სერიოზულად იყვნენ მზად. უბრალოდ, არავის ეგონა, რუსეთი თუ ასე უცებ ჩამოიშლებოდა. რაც შეეხება ქართულ პოლიტიკას...

***– ივანიშვილის ბრძანებებს ასრულებს ღარიბაშვილი?***

– ღარიბაშვილზე არ ვლაპარაკობ, საქართველოს პოლიტიკოსების 99% და, დამიჯერეთ, ასეა, აღმერთებს რუსეთს. ტელევიზიებით ყვირიან, რუსეთი ოკუპანტიაო, სინამდვილეში, აღმერთებენ რუსეთს. ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოში იყო ან ხელისუფლებაში იყო მოსული, არა აქვს მნიშვნელობა, ოპოზიციაშია თუ ასე შემდეგ, არის რუსეთიდან მოსული პოლიტიკური ძალები. თამაშობენ რუსულ თამაშს და უცებ, თენდება დღე, რუსეთმა დაარტყა უკრაინას, უკრაინის დამარცხებით უნდა განადგურებულიყო ყველაფერი და საქართველო ეგრევე ხდებოდა ევროაზიური კავშირის წევრი. ამისთვის ყველაფერი მზად იყო და, ჰოი, საოცრებავ, „გაასხა“ ამათმა საქებარმა რუსეთმა. პოლიტიკური ძალების 99% – ეს არის რუსეთის აგენტურა და დარჩნენ პირდაფჩენილები.

***– ხელისუფლებას გულისხმობთ?***

– მე ვლაპარაკობ როგორც ხელისუფლებაზე, ისე ოპოზიციაზე. არ არსებობს საქართველოში პოლიტიკოსი, რამდენიმე კაცის გამოკლებით, რომელიც რუსეთის ფსბ-ში არ იყოს ნამყოფი. დამიჯერეთ. ასე რომ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეს შავი დღეები უდგას, ხელისუფლებიან-ოპოზიციიანად. თავიანთი ბელადი და რუსეთის იმპერია ემხობათ თავზე. ეს კარგად იცის „ვიღაცამ“ და უკრაინიდან ულაწუნებენ და ულაწუნებენ ყოველდღე. ახლა გამოდიან და ყვირიან ხელისუფლებიდან, წინა ხელისუფლების დროინდელი კრიმინალები შეიფარა უკრაინამო. 10 წელი ხელისუფლებაში რომ ხარ, რა გააკეთე მათ საქართველოში ჩამოსაყვანად?! არც არაფერი! ან რა შეცვალეს იმ კრიმინალების დატოვებული?! პირიქითმ ყველაფერს მშვენივრად მოერგნენ. ამიტომ მათი არგუმენტები ჩემთვის მიუღებელია. არა, ბატონებო, ნაციონალები არაფერ შუაში არიან. თუ ვერ ხვდებიან, ვეტყვი, ამერიკის სპეცსამსახურები უსრულებენ ახლა ამათ. ძალიან კარგად იციან, ჩვენთან სიო საითაც უბერავს. ის პოლიტიკოსი, რომელიც რუსეთის კაცი არ იყო, ან მიწაში წევს, ან ისეა გარიყული, რომ პოლიტიკას არ აკარებენ საერთოდ. კლიმატს ვინც ქმნის, ისინი რუსებისგან კონტროლირებადი ძალები არიან. დღეს რომ გამოდიან და ყვირიან, რუსები შემოდიან და გააკონტროლეთო, სწორედ 2008 წლის მერე არ მოუხსნა იმ ხელისუფლებამ სავიზო რეჟიმი. ან ეს სადაური წესია, ისინი ვიზებს გვიწესებდნენ იქ ჩასასვლელად, აქ რომ მოდიან, ვიზა არ სჭირდებათ.

***– მოუწევს საქართველოს ამ კონფლიქტში ჩართვა?***

– ჩვენ არავინ ჩაგვრთავს ამ კონფლიქტში. გამოდიან და აკეთებენ განცხადებებს, მერე საქართველოს მოუტრიალდებაო. რატომ უნდა მოუტრიალდეს, რას უფუჭებ? პირიქით, რაც აქ ხდება, ყველაფერი რუსეთის სასარგებლოდ ხდება. დღეს საქართველოს თავზე ისედაც ფრიალებს წითელი დროშა, ისედაც საბჭოთა რუსეთის წევრია საქართველო. რუსეთს არანაირი პრობლემა საქართველოსთან არა აქვს და ომი რატომ უნდა დაიწყოს, გიჟია?! უკრაინაში იმიტომ დაიწყო, რომ ხედავდა, კარგავდა უკრაინას. აქ რა პრობლემა აქვს? ყველსაც ვუგზავნით და კარაქსაც.

***– ფრენებსაც აღგიდგენთო...***

– ახლა რომელი ჭკუათმყოფელი წავა რუსეთში. იქ ვინც არიან, ისინიც აქ ჩამოვლენ მალე. მოემზადოს საქართველოს ხელისუფლება, ნახევარი მილიარდი დოლარი შემოდიოდა საქართველოში უკრაინიდან, ასევე ნახევარი მილიარდი – რუსეთიდან, ანუ ერთი მილიარდი დოლარი დაიკარგა. იმ ერთი მილიარდი დოლარის მშოვნელი ხალხი აქ ჩამოვა, ვნახავ, როგორ დაასაქმებს ჩვენი ხელისუფლება. ეს რამ გამოიწვია, იცით, ზემოთ დავიწყე ამაზე საუბარი, ჩვენი ეკონომიკა მიება რუსეთს და გამოდიოდა ჩვენი პრემიერი და ყოველდღე ამით ტრაბახობდა. რა გაქვს სატრაბახო, ან რა ჯანდაბა გინდა იმ რუსეთში?! გეუბნებით, საქართველოს იცავს ღმერთი. ვერანაირი პოლიტიკური ძალა, ვინც არ უნდა მოსულიყო ხელისუფლებაში, ამ ქვეყანას რუსეთს ვერ ჩამოაშორებდა. ახლა უნდა ვილოცოთ, რომ ეს ომი უკრაინამ მოიგოს, ოღონდ, ისე უნდა მოიგოს, რომ რუსეთი ერთხელ და სამუდამოდ დაემხოს. იქნებ მაშინ დაგვეცეს თავზე რეალური დამოუკიდებლობა. სხვა შემთხვევაში ვერავინ და ვერაფერი გვიხსნის რუსეთის კლანჭებიდან. რუსეთმა ქართული პოლიტიკური ელიტა იყიდა. აი, ეს დაგვემართა. ხალხიც ისე გადაიღალა, რომ ველარ რეაგირებდა ამ ყველაფერზე. მიუშვა პროცესები ნებაზე და ამათაც აიწყვიტეს. მაგრამ მათი უძლეველი პუტინი და მისი იმპერია სადღაა? თვალსა და ხელს შუა ქრება.

# პრემიერი ღარიბაშვილი პოლონეთის პრემიერს ესაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პოლონეთის პრემიერ-მინისტრ მატეუშ მორავიეცკისთან სატელეფონო საუბარი გამართა.

საუბარი შეეხო აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა მატეუშ მორავიეცკის საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი შეიტანა და ამ პროცესში მოკავშირეების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ამ გზაზე მეგობარი პოლონეთის მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „20–25 ათასი ადამიანია შემოსული ოკუპანტი ქვეყნიდან“

## ლევან ალაფიშვილი: „ჩვენ უნდა ვიყოთ იქ, სადაც არის მთელი ცივილიზებული სამყარო და არა რუსეთის გვერდით“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო ლევან, რუსეთში რძისა და რძის პროდუქტების გატანის შესახებ ინფორმაციაზე „ქართული ოცნების“ წევრი ირაკლი ქადაგიშვილი აცხადებს, რომ ეს რუსეთის მხრიდან პროვოკაციაა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?***

– ხელისუფლებას ვურჩევდი, ამ ურთულეს პერიოდში გონიერებას მოუხმოს, მეტი გონიერება გამოიჩინონ და რაც შეიძლება უფრო ახლოს იყვნენ ამ ქვეყნის მოქალაქეებთან. რას გვეუბნებიან ახლა, რომ რუსეთი ცდილობს, პროვოკაცია მოგვიწყონ?! რუსეთი გვხვევს პროვოკაციაშიო და რა, არ იცოდნენ, რომ რუსეთი და პუტინი ყველაფერზე არიან წამსვლელები?! რა, არ იცოდნენ, რომ ამ შარში გაყოფდნენ თავს?! ისე ნუ იზამენ, რომ მერე ძალიან გვიან იყოს. ამიტომ ვამბობ, გონიერებას მოუხმონ.

***– როგორც ცნობილია, საქართველოს არა აქვს იმდენი რძე და რძის პროდუქტები, რომ სხვა ბაზარი დააკმაყოფილოს, თუნდაც რუსული.***

– საერთოდ საიდან მოვიდა ეს საკითხი, თუ თვითონ არ დაიწყეს რაღაც კომუნიკაცია რუსებთან?! რუსეთმა საჯაროდ თქვა ის, რაც კომუნიკაციის შედეგია. გასაგებია, რომ ახლა რუსეთი ეცდება, ამ უზარმაზარი სანქციების ფონზე არა მხოლოდ საქართველო, არამედ სხვა ბევრად უფრო ძლიერი ქვეყანაც ჩაითრიოს ამ პროცესში, რომ როგორმე ადვილად გამოძვრეს სანქციებიდან, მაგრამ, შენ როდესაც ხელისუფალი ხარ, ისე უნდა მოიქცე, რომ უარესი არ დაგეკისროს. მე მეშინია, იმდენი არ ქნას ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ მთელმა დასავლეთმა რუსეთის გვერდით მიგვიჩინოს ადგილი და სანქციები ჩვენზეც არ აამოქმედოს.

### „ხელისუფლებას ვურჩევ, „ჯაყოს ხიზნები“ გადაიკითხოს“

სადაც არის მთელი ცივილიზებული სამყარო, იქ უნდა იყო და არა რუსეთის გვერდით. თუ იტყვიან, რომ ძალიან რთულ, მძიმე მდგომარეობაში ვართ, ძალიან მარტივია შორიდან საუბარი, მაშინ ვურჩევდი, მოიქცნენ ისე, როგორც ეს უნდათ ამ ქვეყნის მოქალაქეებს. რაც შეიძლება უფრო ახლოს უნდა იყვნენ საკუთარ მოსახლეობასთან და არა ვიღაცის კართან. გახსნან პარლამენტის კარი, გამართონ ღია დისკუსია, ისაუბრონ, წარმოადგინონ გეგმა, რას და როგორ აპირებენ. მაშინ ბევრად უფრო მარტივი იქნება მათთვისაც.

***– რუსეთის მოქალაქეებზე მინდა გკითხოთ, რომლებმაც საზღვარი გადმოლახეს. თქვენი პოზიცია როგორია? უნდა არსებობდეს თუ არა რაიმე ფილტრი, რომ ვიცოდეთ, ვინ შემოდის ქვეყანაში?***

– რა თქმა უნდა! ეს პირველი რიგის ამოცანაა, თუ გვინდა, სახელმწიფო და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები დავიცვათ. ახლაა სწორედ გონივრული მოქმედებები საჭირო. მე არ ვამბობ, რომ ძალიან მარტივად დგას საკითხი და რა უნდა ამ გადაწყვეტილებების მიღებას. ამიტომ ვამბობ, რომ მათთვისვე უკეთესია, რაც შეიძლება მეტი კომუნიკაცია ჰქონდეთ საზოგადოებასთან, მოქალაქეებთან. რაც შეიძლება თანამონაწილეობით უნდა იყოს ყველა გადაწყვეტილება მიღებული. ახლა არ არის პარლამენტის დახურვის დრო.



***– მოქმედების გეგმა უნდა წარმოადგინონ?***

– რასაკვირველია. რთულად საპროგნოზო არ იყო ეს ყველაფერი. ერთი კი არა, რამდენიმე გეგმა უნდა ჰქონდეთ. უნდა არსებობდეს ალტერნატიული მოქმედებების გეგმა, რა შემთხვევაში როგორ იქცევა სახელმწიფო. გვითხრეს, რომ 20-25 ათასი ადამიანია შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე, თან, საუბარი არ არის მეგობარ სახელმწიფოზე, საუბარია ოკუპანტზე. იმ ჩვეულებრივ რიგით მოქალაქეებს ვინ შემოჰყვა, ვიცით?! თუ ფიქრობენ, რომ ყველა პუტინის წინააღმდეგ გამსჭვალული კეთილსინდისიერი ადამიანია შემოსული, რომლებიც მომავლის ნათელ მხარეს დგანან?! ასე მარტივად რომ არ არის საქმე, ხომ ცალსახაა. ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, რაც სრულიად მიუღებელია. საემიგრაციო ღონისძიებები იყო დასაგეგმი. ახლა უკვე შეიძლება, ეს ყველაფერი ძალიან დაგვიანებულიც კი არის.

შეიძლება, ფულს დახარბდნენ. ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. ფულს შემოიტანენო, იფიქრეს, მაგრამ სანქციის ქვეშ მოყოლილი მოქალაქე რა ფულს შემოიტანს?! შეიძლება, ეს ყველაფერი ძალიან დიდ თავისტკივილად იქცეს „ქართული ოცნებისთვის“. იმდენი პრობლემა შეიძლება დაგროვდეს, თან ერთდროულად, რომ ხელისუფლებას დალხენილი ცხოვრება ნამდვილად არ ექნება.

***– ირაკლი კობახიძის მიერ დაანონსებულ კანონპროექტზე რას იტყვით?***

– მინდა ვუთხრა ირაკლი კობახიძეს, რომ პუტინმა დაასწრო და დაახლოებით მსგავსი კანონპროექტი მიიღო რუსეთში, რომლის საფუძველზეც უკვე დააკავეს 600 ადამიანი. მათ შორის ერთ-ერთი ეკლესიის ამბიონიდან აიყვანეს მღვდელი, რომელიც ქადაგებდა. როგორც ჩანს, ქადაგება მთლად არ იყო პუტინის შემწყნარებელი. შეიძლება, ის მღვდელი უკვე მსჯავრდებულიც კი იყოს. ამიტომ, მესმის, შიში არსებობს. როგორც იტყვიან, შიშს დიდი თვალები აქვს და აზროვნებასაც უზღუდავს ვიღაცებს, მაგრამ სახე არ უნდა დაკარგოს ადამიანმა, ქვეყნის ხელისუფლებამ. „ჯაყოს ხიზნები“ გადმოიღონ, თვალი გადაავლონ მაინც, კოჭის გაგორებამ თუ ასეთმა ლაქუცმა, ნახონ, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი.

# გიორგი აბაშიშვილი: „საქართველო რუსეთთან ერთი-ერთზე არ უნდა დარჩეს“



– რუსეთი, ამ ძალიან დიდი სანქციების ფონზე, აუცილებლად ეცდება, რომ არა მხოლოდ საქართველო, არამედ მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყანა სანქციებისგან თავის ასარიდებლად გამოიყენოს – ჩვენი პოზიცია საერთაშორისო პარტნიორებთან უკიდურესად კოორდინირებული უნდა იყოს.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მრჩეველმა, „ჯეოქეისის“ მკვლევარმა გიორგი აბაშიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რითაც შეაფასა რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის რძის პროდუქტების ბაზრის გახსნა.

აბაშიშვილის აზრით, საქართველო რუსეთთან ერთი-ერთზე არ უნდა დარჩეს და „იმედია, ხელისუფლება გვაჩვენებს, რომ მისი ნაბიჯები და საფრთხეების არიდების სურვილი საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებულია“.

– რუსეთი დაიწყებს გზების მოძიებას, რათა თავიდან აირიდოს სანქციები. ეს შეიძლება იყოს როგორც სხვა ქვეყნები, ასევე ოფშორები. ერთი მხრივ საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა იყოს ფრთხილად, რომ რუსეთმა ვერ შეძლოს ჩრდილოვანი გზებით სანქციების თავიდან არიდება, მეორე მხრივ, საქართველოსაც სიფრთხილე მართებს.

რუსეთი არ არის ქვეყანა, რომელიც ვინმეს კეთილდღეობაზე ზრუნავს, რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც ყოველთვის ვინმეს გამოყენებაზე ფიქრობს მხოლოდ საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. აქ ჩვენი პოზიცია უკიდურესად ფრთხილი, გამიზნული და უკიდურესად კოორდინირებული უნდა იყოს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, უმნიშვნელოვანეს პარტნიორებთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან. ამ საკითხებზე ყოველდღიურ კომუნიკაციაში უნდა ვიყოთ.

საქართველოს მთავრობის პოზიცია გასაგებია, მაგრამ ჩვენი ნაბიჯები უნდა იყოს კოორდინირებული, შეთანხმებული და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები ყოველდღიურად უნდა იყვნენ ინფორმირებულები ჩვენი რისკების, საფრთხეებისა და ნაბიჯების შესახებ. განსაკუთრებული სიფრთხილე გვჭირდება.

ზოგადად კი, რუსეთი არაერთ პროვოკაციულ ნაბიჯს გადადგამს საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩვენი დამცველი მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებაა. ჩვენ არასდროს არ უნდა დავუშვათ სიტუაცია, რომ რუსეთთან ერთი-ერთზე დავრჩეთ ნებისმიერ საკითხზე.

რა მოლაპარაკებები, როდის და სად იყო, ერთი თემაა, მაგრამ, მეორეა ის, რომ დღეს სხვაგვარად მოქცევა გვმართებს, მხოლოდ ჩვენს პარტნიორებთან კოორდინირებით.

აბსურდული თემაა, რომ საქართველოს შეუძლია იყოს იმ პროდუქტის ექსპორტიორი, რომლის იმპორტიორი თავადაა. საუბარია რძის პროდუქტებზე. შეუძლებელია ექსპორტიორი ვიყოთ. კომპანიებმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს, მაგრამ რუსეთი პროვოკაციებს გააგრძელებს.

როგორც მთავრობამ, ისე მეწარმეებმა და თითოეულმა მოქალაქემ უნდა გავიაზროთ, რომ რაც უფრო მეტად ვდისტანცირდებით რუსეთისგან არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით, მით ნაკლები გავლენა ექნება ამ ვერაგ სახელმწიფოს ჩვენზე. რაც შეიძლება ნაკლები გავლენა უნდა ჰქონდეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რათა ნაკლები საშუალება ჰქონდეს ჩვენი შანტაჟისთვის.

ამიტომ, ნაცვლად რუსეთთან რაღაც თემების განსახილველად დროის ხარჯვისა, მნიშვნელოვანია, მეტი დრო დავხარჯოთ საქართველოს სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაციის მიმართულებით, ნაკლები წილი დავუტოვოთ რუსეთს ჩვენს ეკონომიკასა და ცხოვრებაში, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ის, რაც უკრაინაში ხდება, კატეგორიულად მიუღებელია“



– ჩვენთვის ყველასთვის კატეგორიულად მიუღებელია ომი – ის, რაც ხდება უკრაინაში, არის კატეგორიულად მიუღებელი და ჩვენ ყველანი ვლოცულობთ, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს ომი უკრაინაში.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, გუშინ, 7 მარტს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს.

– ჩვენთვის ყველასთვის კატეგორიულად მიუღებელია ომი. ის, რაც ხდება უკრაინაში, არის კატეგორიულად მიუღებელი და ჩვენ ყველანი ვლოცულობთ, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს ომი უკრაინაში და ის ტრაგედია, რომელიც ხდება, რაც შეიძლება მალე დასრულდეს. ადამიანები იღუპებიან და ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი. კიდევ ერთხელ იმედი გვაქვს, რომ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ომი რაც შეიძლება მალე დასრულდეს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ მოსახლეობა უნდა იყოს მშვიდად, ვინაიდან ქვეყანას არავითარი საფრთხე არ ემუქრება:

– პოლიტიკურად ყველა საერთაშორისო დონეზე ვუჭერთ მხარს უკრაინას, უკრაინული ქალაქების დასახმარებლად 140 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა და უკრაინაში რჩება საქართველოს ელჩი იმისთვის, რომ არც ერთი ჩვენი მოქალაქე არ დარჩეს ყურადღების მიღმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო უკრაინის პოლიტიკურ მხარდაჭერას გააგრძელებს, ასევე, გაგრძელდება უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის პროცესიც.

– ჩვენი საელჩო მაქსიმუმს აკეთებს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ელჩი ბოლო დღემდე რჩებოდა, ახლაც, რა თქმა უნდა, უკრაინაშია, გადასულია სხვა ქალაქში. კიევში იყო და სულ რამდენიმე დღის წინ გადავიდა კიევიდან. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ პროცესს ბოლომდე გავაკონტროლებთ იმისთვის, რომ არც ერთი ჩვენი თანამოქალაქე, რომელიც უკრაინაშია, არ დარჩეს ყურადღების მიღმა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# ირაკლი ქადაგიშვილი: „ქართული რძის პროდუქტებისთვის ბაზრის გახსნა რუსეთის პროვოკაციაა“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი ქადაგიშვილი რუსეთის პოლიტიკურ პროვოკაციად აფასებს გადაწყვეტილებას ქართული წარმოების რძის პროდუქტებისთვის ბაზრის გახსნის შესახებ და, როგორც აცხადებს, რუსეთი პოლიტიკურად პროვოკაციულ ნაბიჯებს კიდევ გადადგამს.

როგორც ქადაგიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, არავის უნდა ეგონოს, რომ საქართველომ რუსეთს ბაზრის გახსნაზე ახლა – უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ – მიმართა.

– საქართველოს გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან უკრაინაში ომის დაწყებამდე ჰქონდა. ამავდროულად, თავად ქართული ბიზნესის ინიციატივა იყო, გარკვეული რძის პროდუქტების მწარმოებლებს – ძირითადად საუბარია ყველზე – ბაზრის დივერსიფიკაციის საშუალება ჰქონოდა.

ეს მოლაპარაკებები ახლა კი არ მიმდინარეობდა – მოლაპარაკებები სამი წლის წინ დაიწყო. უბრალოდ, რუსეთის ფედერაცია ქართული პროდუქციისთვის ბაზარს არ ხსნიდა და ახლა მიიღო ბაზრის გახსნის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ასე ვიღაც დეპუტატი გამოვიდა და თქვა, ფრენები გავხსნათო...



მათი მხრიდან კიდევ მრავალი ნაბიჯი იქნება, რომელიც დაძაბულობის ესკალაციას შეუწყობს ხელს. იქნება კიდევ მრავალი... გამომდინარე აქედან, საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულება, თუ რატომ დგამს რუსეთი თითქოს საქართველოსთვის სასიკეთო ნაბიჯებს, სინამდვილეში კი პოლიტიკურად დამაზიანებელს, ამაზე კითხვა არ უნდა ისმებოდეს. ის ასეთ ნაბიჯებს გადადგამს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ნაბიჯები სინქრონული იქნება.

ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს პარტნიორებთან ერთად ვიმოქმედებთ, – განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

# „ეს არის აშშ-რუსეთის ომი უკრაინის ტერიტორიაზე“

## რა პროცესები ვითარდება საქართველოსა და მოლდოვის კონფლიქტურ რეგიონებში უკრაინაში ომის ფონზე

მარიამ მჭედლიშვილი





რუსეთის მიერ ოკუპირებულ და აღიარებულ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში „საბრძოლო მზადყოფნა“ გრძელდება. საოკუპაციო რეჟიმებმა სრული სოლიდარობა გამოუცხადეს უკრაინაში შეჭრილ კრემლს.

სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმები მასპინძლობენ დევნილებს დონბასიდან, აგროვებენ ჰუმანიტარულ დახმარებას. სოხუმშიც და ცხინვალშიც იგრძნეს ანტირუსული სანქციების სიმძიმე.

„აფხაზეთის სახალხო მოძრაობა“ ბჟანია-ანქვაბის ხელისუფლებისგან უფრო მეტ პრორუსულ ნაბიჯებს მოითხოვს. მოძრაობას მიაჩნია, რომ აუცილებელია დიდი მიტინგის გამართვა რუსეთის მხარდასაჭერად. ეს ორგანიზაცია პროვოკაციულად ახსენებს თბილისს.

– ახლა, როცა მსოფლიოში ვითარება დღითიდღე იძაბება, როცა ჩვენი მოკავშირე რუსეთი იძულებულია, ჩაატაროს ანტინაციონალისტური ოპერაცია უკრაინის ტერიტორიაზე, როცა საქართველოს არ უთქვამს უარი თავის რევანშისტულ პოლიტიკაზე და ის ისარგებლებს შემთხვევით, რომ თავს დაგვესხას, აფხაზეთის ხალხმა ყველას უნდა ვაჩვენოთ ერთიანობა და სიმტკიცე.

მოძრაობის აზრით, შექმნილ ვითარებაში სიჩუმე და გაურკვევლობა დაუშვებელია.

– აფხაზეთის მომავლისათვის ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოვუცხადოთ მხარდაჭერა რუსეთის მოქმედებებს, – მიმართავენ ავტორები ბჟანიას, რომელიც კრემლს ისედაც ყველაფერზე კვერს უკრავს.

მოლდოვის დნესტრისპირეთში მოვლენები სხვაგვარად ვითარდება. ევროკავშირში წევრობის კანდიდატობაზე კიშინიოვის განაცხადმა (საქართველომ და მოლდოვამ, ფაქტობრივად, ერთდროულად გააკეთეს განაცხადი) სტატუსგაურკვეველ ტირასპოლში რადიკალური განწყობები გააჩინა. დნესტრისპირეთმა, რომელსაც არ უნდა ევროკავშირში შესვლა, გაგზავნა მიმართვები ბრიუსელში, საერთაშორისო ორგანიზაციებში დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით. მიმართვაში ნათქვამია, რომ 2006 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე მსოფლიომ დნესტრისპირეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს.

ცოტა ხნით ადრე ბელარუსის ბელადმა ლუკაშენკომ ტელეკამერების წინ წარმოადგინა უკრაინაში საომარი მოქმედებების მიმართულებები. ერთი მიმართულება იყო ოდესა-ტირასპოლი.

ამისა და დნესტრისპირეთის გამოხდომების მიუხედავად, მოლდოვის პრეზიდენტი მაია სანდუ საშიშროებას ვერ ხედავს:

– არ გვაქვს ინფორმაცია რეგიონში რაიმე ცვლილებების შესახებ. ეს ეხება უსაფრთხოებასა და სამხედრო შემადგენელს, თუმცა ეს რჩება შეშფოთების საგნად.

ხსენებული სეპარატისტული რეგიონებისგან განსხვავებით, კრემლის ღია მხარდაჭერაზე ხელი აიღო სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა. გაეროში მან ხმა მისცა რუსეთის საწინააღმდეგო რეზოლუციას.

ცნობილია, რომ რუსეთის წინააღმდეგ არ გამოდის ჩინეთი. ამასთან, ჩინური მედია აღნიშნავს, რომ პეკინი არ გახდება მოსკოვის მაშველი რგოლი.

– პეკინი არ უჭერს მხარს დასავლეთის სანქციებს მოსკოვის წინააღმდეგ. ჩინეთი იზიარებს რუსეთის შეხედულებებს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მიმართ. ამ სახელმწიფოების ეკონომიკური თანამშრომლობა შესაძლოა გამხდარიყო მაშველი რგოლი რუსეთისთვის, მაგრამ ჩინეთი მის საშველად არ გაქანდება, – წერს ჩინური პრესა.

ავტორების დასკვნით, ჩინეთს აქვს სავაჭრო ურთიერთობა აშშ-სთან, ევროკავშირთან და მათ აზიელ მოკავშირეებთან. ეს კავშირი პეკინისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კომერცია რუსეთთან. ბოლო ხანს ჩინეთის ოფიციალური პირები დისტანცირდებიან თავიანთი პრორუსული გამონათქვამებისაგან.

პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობა უკრაინაში ხანგრძლივ პროცესებს წინასწარმეტყველებს.

უკრაინელი ანალიტიკოსის იური პოდოლიაკის აზრით, ეს არის აშშ-რუსეთის ომი უკრაინის ტერიტორიაზე. პირობითად მას შეიძლება ეწოდოს მესამე მსოფლიო ომი. მისი შედარება მეორე მსოფლიო ომთან შეუძლებელია.

პოდოლიაკის თქმით, ეს ომი არ დაწყებულა 2022 წლის 24 თებერვალს. ის გაცილებით ადრე დაიწყო. ამჟამად მიმდინარეობს ომის ცხელი ფაზა. აშშ-მ მოახერხა, თავის ბანაკში გადაექაჩა გერმანია და საფრანგეთი.

ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ჰიბრიდული ომი აშშ-სა და რუსეთს შორის არაერთ წელიწადს გასტანს. მისი ძირითადი ფაზა არ დაწყებულა, ვინაიდან უმთავრეს დარტყმას ამერიკელები ჩინეთს მიაყენებენ.

– მსოფლიომ რუბიკონი გადალახა. რუსეთზე ეს უფრო ადრე აისახება, ვიდრე აშშ-სა და ევროპაზე. ის ცხოვრება, რომელსაც მივეჩვიეთ, აღარ იქნება. ის შეიცვლება ახალი წესებითა და ახალი წესრიგით, – აცხადებს ანალიტიკოსი.

# ლევან დავითაშვილი: „ლარი ემოციური ფაქტორების გამო უფასურდება“



– დღეს ობიექტური ფაქტორები არ არის, რომ ლარი უფასურდებოდეს, ძირითადად ემოციური ფაქტორებია.

ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გუშინ, 7 მარტს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ეკონომიკურ პროცესებთან მიმართებით სიმშვიდე, პრაგმატულობა და სწორი ნაბიჯების გადადგმა არის ერთადერთი, რომ ვალუტის კურსი შენარჩუნებული გვქონდეს.

– ლართან დაკავშირებით ემოციური ფაქტორები არის შიგნით. აქ ხელისუფლების დიდი სურვილი, მოწოდება და თხოვნა ზოგადად, მთლიანად საზოგადოებასთან არის ერთადერთი – მნიშვნელოვანია, ნაკლები ემოციებით შევხედოთ (ეკონომიკური პროცესების ნაწილში ვამბობ).

ეს არის ის ემოციური ფონი, რომელიც დღეს არსებობს და რომელიც ეკონომიკაში გადადის. გავმიჯნოთ, ერთია ცალსახად ჩვენი სოლიდარობა და საკითხი, რომელიც უკავშირდება ოკუპაციას, აგრესიას, სადაც ჩვენ მშვიდი ვერ ვიქნებით, მაქსიმალურად ემოციურები ვიქნებით და ვართ, ასეა თითოეული მოქალაქე, არ აქვს მნიშვნელობა თანამდებობას, სტატუსს და პოზიციას.

რაც შეეხება ეკონომიკურ პროცესებს, ეს არის ძალიან მგრძნობიარე და ბევრი თქვენგანი ექსპერტული ცოდნით გამოირჩევა იმიტომ, რომ ხშირად ეკონომიკურ თემებზე მუშაობთ. ამიტომ, თქვენც კარგად გესმით, რომ ეკონომიკურ პროცესებთან მიმართებით სიმშვიდე, პრაგმატულობა, სწორი ნაბიჯების გადადგმა არის ერთადერთი, რომ ჩვენ ვალუტის კურსი შენარჩუნებული გვქონდეს.

დღეს ობიექტური ფაქტორები არ არის, რომ ლარი უფასურდებოდეს, ძირითადად ემოციური ფაქტორებია. ამას მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტები ან მხოლოდ ეროვნული ბანკი ვერ გააკეთებს, დარწმუნებული ვართ, მთელი საზოგადოება მოვახერხებთ იმას, რომ ლარი თავის წონასწორობის ნიშნულს ნახავს. ეს მერყეობა დასტაბილურდება და ლარის კურსი მშვიდ რეჟიმში იქნება, – განაცხადა დავითაშვილმა.

# წამლების ფასი 60-80%-ით არის შემცირებული

პრემიერმა წამლების გაიაფებაზეც ისაუბრა.

– მინდა, რამდენიმე მაგალითი მოვუყვანო ჩვენს მოქალაქეებს. დღეს უკვე, ყველაზე მოთხოვნადი წამლები რაც არის, მაგალითად, გულსისხლძარღვთა დაავადების სამკურნალო მედიკამენტის ფასი მანამდე თუ იყო 220 ლარი, დღეს მისი ღირებულება არის 48 ლარი. უმეტეს შემთხვევაში, 60-80%-ით არის შემცირებული ფასები მედიკამენტებზე და, როგორც მინიმუმ, განახევრებულია ფასები, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან გვიხარია.

თავიდანვე ვთქვით, რომ ჩვენი მთავარი მოთხოვნა იქნებოდა ხარისხი და ეს ხარისხი არის მიღწეული. ყველა ის წამალი, რომლებიც შემოვიდა თურქეთიდან, იქნება და არის „ჯი-ემ-პი“ს სტანდარტის.

ამჟამად მინისტრი აზარაშვილი აქტიურად მუშაობს, რომ ქვეყანაში შეიქმნას წამლის ხარისხის ლაბორატორია, იმისთვის, რომ ყველა ის წამალი, რომელიც იქნება ადგილზე, საქართველოში წარმოებული, ან შემოტანილი, იმპორტირებული, იყოს მხოლოდ მაღალი ხარისხის. ამ პროცესს ჩვენ მაქსიმალურად გავაკონტროლებთ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# რუსეთის მთავრობის არამეგობრული ქვეყნების სიაში საქართველო არ შედის

რუსეთის მთავრობამ „არამეგობრული ქვეყნების“ სია გამოაქვეყნა – მათ შორის საქართველო არ არის.

**სიაში შევიდნენ:**

ავსტრალია, ალბანეთი, ანდორა, გაერთიანებული სამეფო, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ისლანდია, კანადა, ლიხტენშტაინი, მიკრონეზია, მონაკო, ახალი ზელანდია, ნორვეგია, კორეის რესპუბლიკა, სან მარინო, ჩრდილოეთ მაკედონია, სინგაპური, აშშ, ტაივანი, უკრაინა, მონტენეგრო, შვეიცარია, იაპონია.

# არაბთა გაერთიანებული საამიროები საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმს აწესებს

მოლაპარაკებების შედეგად არაბთა გაერთიანებული საამიროების ხელისუფლებამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება საქართველოს ორდინარული პასპორტის მფლობელებისთვის ქვეყანაში შემოსვლის უვიზო რეჟიმის დაწესებასთან დაკავშირებით.

ამის შესახებ განცხადებას საქართველოს საელჩო ავრცელებს.

მათივე ცნობით, საელჩო ახალი სავიზო რეჟიმის ამოქმედების კონკრეტული თარიღის შესახებ ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებს.

– როგორც ცნობილია, აქამდე, ორ ქვეყანას შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, საამიროებში უვიზო რეჟიმით სარგებლობდნენ მხოლოდ საქართველოს დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელები. მხარეებს შორის, ზემოხსენებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ფორმალობების დასრულების შემდეგ, საელჩო გაავრცელებს ინფორმაციას ახალი სავიზო რეჟიმის ამოქმედების კონკრეტული თარიღის შესახებ.

ხაზგასასმელია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გახლავთ საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პოზიტიური დინამიკის კიდევ ერთი ნათელი მაჩვენებელი, – ნათქვამია განცხადებაში.

# „ქართული ლარი უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე უკრაინული გრივნა!“



„ქართული ლარი უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე უკრაინული გრივნა!“ – ამის შესახებ ეკონომისტი პაატა ბაირახტარი სოციალურ ქსელში წერს.

„ბიზნესპრესნიუსი“ მის პოსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ქართული ლარი უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე უკრაინული გრივნა!

ლარი სწრაფად უფასურდება და ამაზე ხმასაც არავინ იღებს. თითქოს ხალხი მიაჩვიეს კიდეც, რომ ნებისმიერ რეგიონულ პროცესს ლარის მკვეთრი გაუფასურება უნდა მოჰყვეს და ამაში დამნაშავე არავინაა. ახლაც ხმას არავინ იღებს. მართლაც უკრაინაში ომი მიმდინარეობს, უკრაინა ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა, ცხადია ეს ჩვენს ვალუტაზეც უნდა ასახულიყო ამიტომ „ყველაფერი რიგზეა“. ლარის გაუფასურებაში მონეტარულ და ფისკალურ ხელისუფლებას „არც ბრალი მიუძღვის“ და ამაზე მათ არც პასუხი უნდა მოვთხოვთ.

ამ დროს თავად უკრაინის ვალუტა ბოლო 2 კვირაში საშუალოდ 10%-ით გაუფასურდა დოლართან მიმართებაში, ხოლო ლარი იგივე პერიოდში, თითქმის 14%-ით.

ანუ ქვეყანაში სადაც ომი მიდის და ყოველ ღამით ჭურვები აცვივათ თავზე, ვალუტა უფრო ნაკლებად გაუფასურდა, ვიდრე ჩვენთან. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენთან უნდათ დაგვაჯერონ, რომ ჩვენი ვალუტის გაუფასურება უკრაინის ვალუტის გაუფასურებას მოჰყვა, რომელიც, თავის მხრივ, ლარზე უფრო ნაკლებადაა გაუფასურებული!

ეს არის მარაზმი!

ჩვენ სერიოზული ხარვეზები გვაქვს მონეტარული პოლიტიკის მიმართულებით!

მონეტარულ პოლიტიკაში ჩვენ ვიმეორებთ ერთსა და იმავე შეცდომებს!

ჩვენ გვაქვს ხარვეზები ფისკალურ პოლიტიკაში!

P.S. სანამ ამ ყველაფერზე არ დავფიქრდებით და მუდმივად საგარეო ფაქტორებისკენ გავიშვერთ ხელს, მუდამ ასეთ დღეში იქნება ლარიცა და ფასების დონეც!“ – წერს ბაირახტარი.

# ერთ თვეში მთავრობამ 382 მლნ ლარის ვალი აიღო

2022 წლის იანვარში ქვეყნის მთავარ ხაზინაში დაახლოებით 1,308 მლრდ ლარი შევიდა. გარკვეულწილად, ეს ზრდა ვალების აღების ხარჯზე ხდება, ყოველ შემთხვევაში, როგორც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია აღნიშნული, იანვარში მთავრობის ვალდებულებების მოცულობა დაახლოებით 382 მლნ ლარით გაიზარდა.

რაც შეეხება ვალის აღების წყაროებს, მიმდინარე წლის იანვარში მთავრობამ საგარეო ვალის სახით დაახლოებით 178 მლნ ლარის ვალი აიღო, აქედან დაახლოებით 168 მლნ ლარი ქვეყანამ საბიუჯეტო კრედიტებიდან მიიღო, დაახლოებით 10 მლნ ლარი კი – საინვესტიციო კრედიტებიდან.

რაც შეეხება შიდა ვალს, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის იანვარში მთავრობამ შიდა ვალდებულებების სახით დაახლოებით 204 მლნ ლარი აიღო.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ვალდებულებების წილი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში გაზრდილია და ის 22.4%-ს შეადგენს. 2021 წელს აღნიშნული წილი მხოლოდ 8.2%-ს შეადგენდა, 2020 წელს კი 21.5%-ს.

# „ლელოს“ ინფორმაციით, მთავრობასთან „ლელოს“ წევრიც დააკავეს

„ლელოს“ ინფორმაციით, მთავრობის ადმინისტრაციასთან, „დროას“ წევრებთან ერთად, „ლელოს“ წევრიც დააკავეს.

როგორც პარტიაში აცხადებენ, დაკავებულია „ლელოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის“ აქტიური წევრი, ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ტალახაძე.

„რუსული ბაზრის გახსნას „ლელოელი“ ახალგაზრდები „დროასთან“ ერთად აპროტესტებდნენ და რუსული პროდუქტის კანცელარიასთან მიტანის კამპანიაში მონაწილეობდნენ“, – აცხადებენ „ლელოში“.

# რუსთავში 80 წლის მამაკაცი 60 წლის მომვლელზე სექსუალურად ძალადობდა

რუსთავში მოხუცი მომვლელზე ძალადობდა.

ინფო რუსთავის ინფორმაციით, 80 წელს გადაცილებული მამაკაცი ქალს სექსუალურად ავიწროებდა. შემთხვევა თოდრიას ქუჩაზე მოხდა.

60 წლამდე ქალი რომელიც მოხუც მამაკაცს უვლიდა, სავარაუდოდ, ძალადობის მსხვერპლი გახდა, რის შემდეგაც მან სამსახური მიატოვა და მოხუცის მოვლაზე უარი განაცხადა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ქალს აშანტაჟებდა და სამსახურში დაბრუნებას აიძულებდა. მას შემდეგ, რაც ქალმა სამსახურში დაბრუნებაზე უარი განაცხადა, მამაკაცმა მისი სახლის დაწვა ცადა. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

# გურჯაანში ერთმანეთს 2 მანქანა და მიკროავტობუსი შეეჯახა

## 1 ადამიანი დაიღუპა

6 მარტს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. ადგილობრივების ინფორმაციით, ერთმანეთს ორი ავტომობილი და მიკროავტობუსი შეეჯახა.

შეჯახების შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო მიკროავტობუსის ოთხმა მგზავრმა, აქედან სამი დაშავებული სასწრაფო დახმარების ჯგუფმა გურჯაანის „ჯეო-ჰოსპიტალსის“ კლინიკაში მრავლობითი მოტეხილობით მოათავსა, ერთი ქალი კი გარდაიცვალა.

ექიმების განმარტებით, საშუალო ასაკის ორი ქალის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

– ორი პაციენტი უკიდურესად მძიმეა, ჯერ სხვას ვერაფერს გეტყვით, პაციენტებს გადაუდებელი დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ, – განაცხადეს კლინიკაში.

დაშავებულებს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდათ.

ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული.

# მარელისთან მეწყერი ჩამოწვა

## ხიდი დაზიანდა

საქართველოს რკინიგზის განცხადებით, უღელტეხილის მონაკვეთზე, სოფელ მარელისთან, მეწყრის ჩამოწოლის შედეგად რკინიგზაზე გარდამავალი საავტომობილო ხიდი დაზიანდა, რის გამოც სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მოძრაობა შეჩერდა.

ამის შესახებ განცხადებას საქართველოს რკინიგზა ავრცელებს.

„გამთენიისას უღელტეხილის მონაკვეთზე, კერძოდ, სოფელ მარელისთან, მეწყერი ჩამოწვა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად დაზიანდა რკინიგზაზე გარდამავალი საავტომობილო ხიდი. ასევე დაზიანებულია რკინიგზის ლიანდაგი და საკონტაქტო ხაზი. მომხდარის გამო, 7 მარტს დილიდან სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მოძრაობა შეჩერებულია. ადგილზე მობილიზებულია სპეცტექნიკა.

ლიანდაგის გაწმენდისა და საკონტაქტო ხაზის აღდგენის შემდეგ, სამგზავრო და სატვირთო მატარებლების მოძრაობა ეტაპობრივად განახლდება. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. კომპანიის წარმომადგენლები მაქსიმუმს აკეთებენ, რომ შეძლებისდაგვარად მალე განახლდეს მოძრაობა“, – ნათქვამია განცხადებაში.

# საქართველოს საზღვართან მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 7 მარტს, რუსეთში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან 5 კმ-ში, 3.8 მაგნიტუდის სიდიდის მიწისძვრა მოხდა.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ცნობით, მიწისძვრა თბილისის დროით 10:24 საათზე დაფიქსირდა.

# გიგი უგულავა: „რაც პარკაძეს მიარჭვეს, მეც იმავეს მომისჯიან“

## პროკურორი გურული: „ბრალდებული უგულავა ისევ დამცინის“





– ბრალდებული გიგი უგულავა, დასაცინი ხართო, მეუბნება, მერამდენე პროცესია, შეურაცხყოფას მაყენებს.

ამის შესახებ ოპოზიციონერი ლიდერის, გიგი უგულავას, საქმის პროკურორმა ნათია გურულმა გუშინ, 7 მარტს, სასამართლო პროცესზე განაცხადა.

სწორედ პროკურორის რეპლიკის ეტაპზე გიგი უგულავას ნათია გურულმა ჰკითხა, თუ რა იყო სასაცილო, რასთან დაკავშირებითაც, ბრალდებულმა აღნიშნა, რომ „სასაცილო კი არა, დასაცინია“.

– ნუ ცხარობთ, ჩემი კარგო, მესმის, რომ ტყუილის გამყარება გიწევთ, დაიწყნარეთ ნერვები, – მიმართა პროკურორს უგულავამ.

– ვის აქვს ნერვები დასაწყნარებელი, ეტყობა. სამართლებრივი არგუმენტები გელევათ და შეურაცხყოფაზე გადმოდიხართ, უკვე მერამდენე პროცესია, ზღვარს სცდება ბრალდებული. ყველა ადამიანი თავისი ზრდილობის დიაპაზონს აჩვენებს საზოგადოებას, – განაცხადა გურულმა.

ამასთან დაკავშირებით კი გიგი უგულავამ აღნიშნა, რომ „პროკურატურის უტიფრობის დიაპაზონი „რაზმახისას“ სცდება“.

მანვე მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილს მიმართა.

– თქვენი გადაწყვეტილება შეიძლება დასაცინი გახდეს, ეს თქვენ ძილს ვერ დაგიფრთხობთ, მაგრამ ეს ასე იქნება, – განაცხადა უგულავამ.

უგულავამ სასამართლო პროცესზე საბოლოო სიტყვით ისარგებლა და დეტალურად ისაუბრა აეროპორტში მომხდარ ინციდენტზე.

მისი განმარტებით, მას აეროპორტში ორი ძიუდოისტი მიუგზავნეს და ამ საქმის გამო, პროკურატურას და სასამართლოს საზოგადოება დასცინის.

– სურათი მთელი საქართველოსთვის ნათელია, ნათელი არ არის პროკურატურისთვის და პროკურორისთვის. სიტუაცია შემდეგში მდგომარეობს, ვინაიდან ეს საქმე ასე გაიწელა, გამოდის, რომ არ არის ისეთი მარტივი, როგორც 126-ე მუხლია თქვენს წარმოდგენაში. სამართლებრივ დავაში არ შევალ, მოსამართლის დისკრეცია იყო, კამერები ამოეღო და ყველაფერი ნათელი იქნებოდა, – განაცხადა გიგი უგულავამ.

მან ხაზი გაუსვა, რომ შეგნებულად თქვა უარი ამნისტიაზე.

– არა იმის გამო, რომ მართლმსაჯულების მჯერა, ამას ვაკეთებ, რადგან ეს საქმე, რასაც ჩვენ ვიხილავთ, მცირე ეპიზოდია დიდი სურათისა, რასაც არც პროკურატურა იკვლევს და არც სასამართლო ინტერესდება. ნურავის ეწყინება, რომ სასამართლოს თავიდანვე მიკერძოებულად მივიჩნევ, მათ შორის, პროკურატურასაც. გამოკითხვისას გულწრფელად მჯეროდა, რომ ჩემ გზაზე წავიდოდი, სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ საღამოს სახლში მომაკითხავდა გამოძიება და ბრალს წამიყენებდა. თუ რამეში პოლიტიკური შეცდომა მაქვს დაშვებული, არის ის, რომ ბადრი გავაშელიშვილის მსგავსი სუბიექტები, 2012 წელსაც ჩართული ყოფილა არჩევნებში და შემდეგაც, რომელ პარტიასაც წარმოვადგენდი, ეს ჩემი სირცხვილია, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

მისი თქმით, გავაშელიშვილი ლუდომანიისკენაა მიდრეკილი, ყურებით ჰყავს სუს-ს დათრეული. ის მოქალაქეების დარბევაში მონაწილეობდა. ეს ხდებოდა ინციდენტამდე ერთი თვით ადრე.

– ახლა რაც შეეხება მოტივაციას, თავდასხმის მოტივაცია იყო ის, რომ 20 ივნისს, ბიძინა ივანიშვილს და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს პირდაპირ ეთერში ვაგინე დედა. დღესაც ვიმეორებ, ბიძინა ივანიშვილი იმ საქციელისთვის, რაც ჩაიდინა, იმსახურებს გინებას. ვთვლი, ჩემგან ადეკვატური რეაქცია იყო. ამის გაგრძელება არის აეროპორტის ეპიზოდი. ვინაიდან პროკურატურა მთავარ აქცენტს აკეთებს, ვინ დაიწყო ჩხუბი, ძალიან ჰგავს „ოცნების“ ბრალდებას, ვინ დაიწყო ომი, აბსურდულობით იგივეა.

ჩაის ვსვამდით და პარკაძე მოდის, იგინებოდიო. ვის ვაგინებდი? მე, ჩემი მეგობარი და ერთი ქალბატონი ვისხედით. ვინ დანიშნა ბატონი პარკაძე მორალის ან საერთოდ წესრიგის დამცველად, აეროპორტში პოლიციელი გამოილია? რატომ ითვლება, რომ პარკაძეს უფლება აქვს, ვიღაცას ჭკუა ასწავლოს? კადრები რომ გენახათ, ნახავდით, რომ ჩვენ მშვიდობიანად ვისხედით და ის ადამიანი მოვიდა.

როგორ დავესხი თავს, როცა ჩემ ადგილას მოხდა ინციდენტი, სადაც მე ვიჯექი? როგორ არ არის თავდამსხმელი, ვინც მოდის სპეციალურად? ეს ყველაფერი ამ სისტემის ნაწილია, იცით, რატომ ხდება? როცა 2013 წელს ნუგზარ წიკლაურს თავს დაესხნენ, გამოძიება არ ჩატარებულა და ასე ნელ-ნელა ივანიშვილის რეჟიმი აჩვევს, რომ ესენი არიან ადამიანები, რომელთაც შეგიძლია სცემო, სახლში შეუვარდე, ასე ყალიბდებოდა ფაშიზმი. ეს საქმე არ არის რთული, ქვეყნის „საღადაო“ გახდა, მაგრამ გაცილებით მძიმე საქმეზე დარჩება თქვენი სახელები. ყველაზე ცუდი ის კი არ არის, რომ ვინმე შეგიძულებს, არამედ, აბუჩად რომ აგიგდებენ და ამ საქმეზე თქვენ აბუჩად აგიგდებენ.

როცა ადამიანი თავს დამესხა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შესაძლებლობები ჩემსას აღემატებოდა, მას ვპასუხობდი და ყველა მოძალადეს ვუპასუხებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, იცით, რატომ? ასეთი რამ რომ არ განმეორდეს.

მე ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ვარ. პარკაძე და გავაშელიშვილი ორი გაუბედურებული ადამიანია, რომლებიც ასეთ დავალებაზე აწერენ ხელს, ღირსების საქმე არ არის მხოლოდ, იქ ადამიანი ამას ილებდა და უშიშროების კაბინეტში შევიდა, თქვენ ეს ყველაფერი რომ გენახათ, ეს ყველაფერი არ იქნებოდა.

კაცმა არ იცის, ამ სისულელის გამო თქვენი გადაწყვეტილება შეიძლება დასაცინი გახდეს, ეს თქვენ ძილს ვერ დაგიფრთხობთ, მაგრამ ეს ასე იქნება.

რაც პარკაძეს მიარჭვეს, იმავეს მომისჯიან მეც, რომ სიმეტრიულობა დაცული იყოს, – განაცხადა უგულავამ.

აღნიშნულ საქმეზე მოსამართლე განაჩენს 9 მარტს, 10:00 საათზე, გამოაცხადებს.

# შევიწროებული რუსი ჟურნალისტები საქართველოში შემოუშვით!

## კოალიციის „მედია ადვოკატირებისთვის“ განცხადება

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, პროფესიული საქმიანობის გამო შევიწროებული რუსი ჟურნალისტები ქვეყანაში შემოუშვას. ამის შესახებ კოალიცია განცხადებას ავრცელებს.

ამასთან, კოალიცია მოუწოდებს მთავრობას, რომ არ შელახოს კრიტიკული ჟურნალისტების და მათთან ერთად მყოფი პირების უფლებები.

„გავრცელებული ინფორმაციით, 2022 წლის 5 მარტს, საქართველოში არ შემოუშვეს რუსული დამოუკიდებელი არხის, „დოჟდის“ ჟურნალისტი მიხეილ ფიშმანი. ის ამ დრომდე კომენტარისა და იდენტიფიცირებისგან თავს იკავებდა რუსეთში ჟურნალისტების მიმართ მომეტებული საფრთხის გამო.

2022 წლის 6 მარტს ცნობილი გახდა, რომ მიხეილ ფიშმანის ოჯახი საქართველოშია, ჟურნალისტს კი არ ეძლევა შესაძლებლობა, გადმოკვეთოს საზღვარი და ისევ ელოდება პასუხს საქართველოს სახელმწიფოსგან. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ „დოჟდი“ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მაუწყებელი იყო რუსეთში. უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, ტელეკომპანიამ მაუწყებლობა 3 მარტს შეაჩერა.

ახლახან რუსეთის ხელისუფლებამ რეგულაციები დააწესა, რამაც დამოუკიდებელ მედიას გაურთულა ომის გაშუქება. ინფორმაციის, რომელსაც კრემლი „ყალბად“ მიიჩნევს – გავრცელებისთვის, ადამიანი შეიძლება დაისაჯოს მაღალი ჯარიმით ან პატიმრობით. აღნიშნულის ფონზე, ჟურნალისტების ნაწილი ცდილობს დატოვოს რუსეთი.

რუსეთში შეწყვიტეს მაუწყებლობა სხვა მედიასაშუალებებმაც, მათ შორის სიენენმა, დაიხურა დოიჩე ველეს რუსული ბიურო. ამიტომაც, გვაქვს მოლოდინი, რომ საქართველოს დახმარება დასჭირდებათ სხვა რუსს ჟურნალისტებსაც.

მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტის შეზღუდვის ფაქტი შესაძლოა დისკრიმინაციული იყოს იმ ფონზე, როცა მსგავს დაბრკოლებებს რუსეთიდან ერევნის გავლით შემოსული სხვა პირები არ აწყდებიან. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა განმარტოს, თუ რა გახდა მიხეილ ფიშმანის არშემოშვების მიზეზი.

კოალიცია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, საზღვრის კვეთისას არ შეუქმნას ხელოვნური დაბრკოლებები პროფესიული საქმიანობის გამო შევიწროებულ რუს ჟურნალისტებს. განუხრელად შეასრულოს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და არ შელახოს კრიტიკული ჟურნალისტებისა და მათთან ერთად მყოფი პირების უფლებები“, – აღნიშნულია განცხადებაში.

# მთავრობასთან დაკავებული ელენე ხოშტარია გაათავისუფლეს

## „დროას“ 2 წევრი საგარეჯოს იზოლატორში გადაიყვანეს

„დროას“ ლიდერი, ელენე ხოშტარია, რომელიც 6 მარტს მთავრობის ადმინისტრაციასთან დააკავეს, გათავისუფლებულია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურში განუცხადეს, მასთან ერთად დაკავებული ნათია ლეთოდიანი და შუშანა მაცაბერიძე საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორში არიან გადაყვანილი.

„ელენე ხოშტარია გუშინ საღამოს გაათავისუფლეს. ნათია ლეთოდიანი და შუშანა მაცაბერიძე საგარეჯოს დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს, ჯერჯერობით იქ არიან. სასამართლო პროცესი ჯერ არ ჩანიშნულა“, – აღნიშნავენ პარტიაში.

ცნობისთვის, 6 მარტს პარტია „დროას“ ლიდერები და მხარდამჭერები მთავრობის ადმინისტრაციასთან შეიკრიბნენ, მათ ადგილზე რუსული პროდუქტი მიიტანეს, რითაც რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

პოლიციამ აქტივისტებს მოუწოდა, ტერიტორიაზე პროდუქტი არ დაეტოვებინათ, რასაც პოლიციასა და აქტივისტებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

ელენე ხოშტარიამ მთავრობის ადმინისტრაციის შენობას კეტჩუპი შეასხა და ბრინჯი დაყარა, რის გამოც დააკავეს. მასთან ერთად პოლიციამ პარტიის კიდევ ოთხი წევრი დააკავა.

# ჰააგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის სარჩელის განხილვა დაიწყო




ჰააგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის სარჩელის განხილვა დაიწყო. ამ შეხვედრაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ უნდა განსაზღვროს დანაშაულის აღრიცხვისა და შეფასების შემდგომი ნაბიჯები.

უზენაესი რადის ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვისა და დაზვერვის კომიტეტის წევრ ფედორ ვენისლავსკის თქმით, არსებობს რამდენიმე პარალელური პროცესი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკრაინაში რუსეთისა და მისი ხელმძღვანელობის დანაშაულების შესაფასებლად:

– დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველი ნაბიჯი გადაიდგმება საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებში რუსეთის სამხედრო დანაშაულების სამართლებრივი შეფასებისთვის. არსებობს რამდენიმე პარალელური პროცესი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკრაინაში რუსეთისა და მისი ხელმძღვანელობის დანაშაულების შესაფასებლად.

7 მარტს არის პირველი შეხვედრა, რომელიც ასახავს შემდგომ ნაბიჯებს დანაშაულების აღრიცხვისა და შეფასებისთვის, მომზადების პირდაპირი სასამართლო განხილვისთვის, – განმარტა ვენისლავსკიმ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომის დანაშაულს არა აქვს ხანდაზმულობის ვადა და, ვინც კრიმინალურ ბრძანებებს გასცემს და მათ, ვინც ამ ბრძანებებს ასრულებს, პასუხი მოეთხოვებათ:

– შედეგს მივიღებთ რამდენიმე თვეში, წელიწადში ან თუნდაც რამდენიმე წელიწადში, რადგან ეს არის ძალიან ფრთხილი აქტივობა. მაგრამ შედეგს მივიღებთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკრეტული განაჩენის სახით რუსი ომის დამნაშავეების შესახებ, – თქვა ვენისლავსკიმ.

# საფრანგეთის საგარეო მინისტრი: „უკრაინა გაიმარჯვებს!“

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟან ივ ლე დრიანი დარწმუნებულია, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომში უკრაინა გაიმარჯვებს. ამის შესახებ საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ფრანს 5-ის ეთერში განაცხადა.

– მივიჩნევ, რომ უკრაინა გაიმარჯვებს. უკვე 10 დღეზე მეტია, რაც ყველაზე დიდ გაოცებას იწვევს უკრაინის ისეთი მასშტაბის წინააღმდეგობა, რომელიც ექსპერტებს არც შეეძლოთ, რომ წარმოედგინათ, – განაცხადა მინისტრმა.

საფრანგეთის პირველი დიპლომატის განცხადებით, ომის ფასი აუტანელი გახდება რუსეთისთვის.

– პრეზიდენტი პუტინი რაღაც მომენტში დადგება არჩევანის წინაშე: ან მიიღოს რუსეთის ფუნქციონირებისთვის არსებითი შედეგები, ან დაიწყოს მოლაპარაკებები, – განაცხადა ლე დრიანმა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დარწმუნებულია, რომ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები გრძელვადიან პერსპექტივაში შეაკავებს პუტინის შემდგომ აგრესიას.

# უკრაინელებმა ოდესასთან რუსული სამხედრო გემი გაანადგურეს

უკრაინულმა ძალებმა შავ ზღვაში რუსული სამხედრო გემი გაანადგურეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ოდესის საოლქო სამხედრო ადმინისტრაციის პრესცენტრის ხელმძღვანელი სერგეი ბრატჩუკი ავრცელებს.

– ცოტა ხნით ინტრიგა შევინარჩუნეთ, მაგრამ ახლა უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ რუსული გემი განადგურებულია, მტერს დანაკარგი აქვს. ჩვენები ყოჩაღები არიან. დიდება უკრაინის შეიარაღებულ ძალებს! დიდება უკრაინას! ჩვენ გავაგრძელებთ მტრის განადგურებას. მინუს ერთი სამხედრო გემი, – განაცხადა ბრატჩუკმა. რუსული სამხედრო გემი შავ ზღვაში ოდესის სიახლოვეს იდგა.

# რუსეთმა უკრაინაში 600 რაკეტა გამოიყენა

რუსეთმა უკრაინაში შეჭრის შემდეგ ქვეყნის წინააღმდეგ, ჯამში, 600 რაკეტა გამოიყენა და უკრაინის საზღვრებთან მობილიზებული სამხედრო ძალის 95% უკვე უკრაინის ტერიტორიაზე ჰყავს.

ამის შესახებ ინფორმაციას სიენენი აშშ-ის თავდაცვის მაღალჩინოსანზე დაყრდნობით ავრცელებს.

წყაროს ცნობით, უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებზე დაკვირვების შედეგად დადასტურდა, რომ რუსული სამხედრო ძალები კვლავ ცდილობენ კიევის, ხარკოვის, ჩერნიგოვისა და მარიუპოლის ალყაში მოქცევას.

აშშ-ის თავდაცვის მაღალჩინოსნის შეფასებით, რუსული სამხედრო ძალების წინსვლას ხელს უშლის უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ გაწეული წინააღმდეგობა.

ამავდროულად, კიევის მისადგომებთან რუსული სამხედრო ძალის კოლონა, რომელიც დაახლოებით 60 კილომეტრზეა გადაჭიმული, კვლავ გაჩერებულია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# 9 ვიტამინი ტვინისთვის – რომელი პროდუქტები აუმჯობესებს მეხსიერებას

ტვინი წარმოადგენს უმთავრეს ორგანოს ადამიანისთვის. ის არეგულირებს ყველა უმთავრეს სასიცოცხლო ფუნქციას.

ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო ვიტამინები.

„თუ ცუდად ვიკვებებით, წამალი არ მოქმედებს. თუ კარგად ვიკვებებით – წამალი აღარ გვესაჭიროება“.

9 ვიტამინი ტვინისთვის. რომელ პროდუქტებში შეიძლება ვიპოვოთ ისინი?

**1. პროვიტამინი A, ანუ ბეტა-კაროტინი**

A ვიტამინი აუმჯობესებს მეხსიერებას, იცავს ტვინის უჯრედებს . ბეტა-კაროტინი წარმოადგენს წითელ პიგმენტს, რომელიც გადაიქცევა A ვიტამინად – თუ მას საკვებში გამოვიყენებთ. დადგენილია, რომ ამ ვიტამინის ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს მხედველობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ასევე მისი ნაკლებობა იწვევს ბავშვებში სიმაღლეში ჩამორჩენას.

რომელ პროდუქტებშია A ვიტამინი? ეს პროდუქტებია: გოგრა, პაპაია, მანგო, ნესვი და სტაფილო.

**2. B1 ვიტამინი**

ამ ვიტამინის ძირითადი ფუნქციაა მეხსიერების გაუარესების პროფილაქტიკა. ძლიერი „პრეპარატია“ დეპრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, აფერხებს ტვინის დაბერების პროცესს. აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას და აჩქარებს უჯრედში ჟანგბადის მიწოდებას.

ასევე B1 ვიტამინი თიამინის სახელითაა ცნობილი. იგი მონაწილეობს გულის მუშაობაში, მოქმედებს მხედველობაზე. კვლევების თანახმად, B1 ვიტამინის ნაკლებობა იწვევს კორსაკოვის სინდრომს (კორსაკოვის ფსიქოზი, რომელიც ძირითადად გვხვდება ალკოჰოლიკებსა და შიდსით დაავადებულებში).

რომელ პროდუქტებშია B1? ქათმის, ძროხის და ღორის ხორცში, ასევე თევზში, კაკალში, ხილსა და ბოსტნეულში.

**3. B6 ვიტამინი**

ეს ვიტამინი ხელს უწყობს ისეთი ნივთიერებების წარმოქმნას, როგორიცაა: დოფამინი, ადრენალინი, ნორადრენალინი, გამა – ამინომჟავა და აცეტილქოლინი. ხელს უშლის დეპრესიის განვითარებას. ვიტამინ B6-ის დეფიციტმა შეიძლება მეხსიერების დაკარგვა, დაღლილობა, დეპრესია, უძილობა და თავის ტვინის ნაადრევი დაბერება გამოიწვიოს.

რომელ პროდუქტებში ვხვდებით B6 ვიტამინს? – კვერცხი, ყავისფერი ბრინჯი, კარტოფილი, ინდაურის, საქონლის, ქათმის ხორცი, ზღვის პროდუქტები, წიწაკა, არაქისი, კაკალი, ისპანახი, სტაფილო, ბროკოლი, ფარელი...

**4. B9 ვიტამინი**

ეს ვიტამინი ცნობილია ფოლიუმის მჟავის სახელწოდებით. ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე მისი თავის ტვინის სწორი განვითარებისთვის აუცილებელია დედისთვის ამ ვიტამინის მიღება. ფოლიუმის მჟავა ეხმარება უჯრედს გამრავლებაში და ახალი უჯრედების წარმოქმნაში. ვიტამინ B9-ის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს ინსულტი. ასევე ბავშვებში ამ ვიტამინის ნაკლებობამ შეიძლება განვითარების შეფერხება გამოიწვიოს. რომელ



პროდუქტებშია ვიტამინ B9? – ეს პროდუქტებია: ხილი (ბანანი, ფორთოხალი, ნესვი, ავოკადო), მარცვლეული, ისპანახი, ყავისფერი ბრინჯი, ბოსტნეული და არაქისი.

**5. B12 ვიტამინი**

ვიტამინი B12 წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ტვინის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. თუ ამ ვიტამინის დონე ნორმაზე ქვევითაა, ეს შეიძლება გახდეს მიზეზი შემდეგი პრობლემების განვითარებისა: გაფანტულობა და მეხსიერების დაკარგვა, ხასიათის ხშირი ცვალებადობა, აზროვნების შეფერხება და ალცჰაიმერის დაავადების განვითარება. B12-ს შეიცავს შემდეგი პროდუქტები: ხორცი (ქათამი, ინდაური, საქონლის ხორცი), წითელი თევზი და ზღვის პროდუქტები, კვერცხი, მარცვლეული, რძის პროდუქტები მათ შორის ყველი, იოგურტი, ხაჭო და სხვა.

**6. C ვიტამინი**

C ვიტამინი ცნობილია, როგორც ასკორბინის მჟავა. იგი წარმოადგენს ძლიერ ანტიოქსიდანტს, რომელიც იცავს ტვინს სტრესისა და დეგენერაციისაგან. ვიტამინი ვიტამინთან კომბინაციაში ხელს უშლის დემენციის ისეთი ტიპის დაავადებებს, როგორიცაა პარკინსონი და ალცჰაიმერი. ასევე იცავს რესპირატორული, გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების განვითარებისგან. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ვიტამინი აქვეითებს ბავშვებში თავის ტვინის სიმსივნის განვითარების რისკს. ასევე ეს ვიტამინი ეხმარება ორგანიზმს რკინის შეთვისებაში.

C ვიტამინს ხალხში „ბუნებრივ ანტიდეპრესანტს“ უძახიან, რადგან ის ამაღლებს სეროტონინის დონეს, ანუ ამაღლებს ჩვენს გუნება-განწყობას და ამაღლებს მოტივაციას. C ვიტამინით მდიდარი პროდუქტებია: ფორთოხალი, გრეიპფრუტი, მანდარინი, ლიმონი, ნესვი, ანანასი, ყვავილოვანი კომბოსტო, მარწყვი, პომიდორი, ისპანახი, ბროკოლი... ანუ ძირითადად ამ ვიტამინით მდიდარია ციტრუსები და მწვანე ბოსტნეული.

**7. D ვიტამინი**

D ვიტამინი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ტვინის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. კვლევების თანახმად, D ვიტამინის ნაკლებობა შეიძლება გახდეს მიზეზი კოგნიტური დარღვევების გამოვლინებისა. აღმოჩნდა, რომ ამ ვიტამინის გამოყენებამ შეიძლება გააუმჯობესოს იმ ავადმყოფების მდგომარეობა, რომლებსაც აქვთ გაფანტული სკლეროზი ან სხვადასხვა ნერვული აშლილობა. D ვიტამინი უხვადაა მზის სხივებში (ამიტომ რუჯის მიღება რეკომენდებულია, ოღონდ საჭიროა ზომიერების დაცვა). D ვიტამინით მდიდარი პროდუქტებია: თევზის ზოგიერთი სახეობა (სარდინი, ორაგული, თინუსი), ასევე ქამა სოკო და რძის პროდუქტების ზოგიერთი სახეობა.

**8. K ვიტამინი**

K ვიტამინი ამაღლებს ტვინის მუშაობას, აუმჯობესებს მეხსიერებას. აღმოჩნდა, რომ ალცჰაიმერით დაავადებულ პაციენტებს აღმოაჩნდათ ამ ვიტამინის ნაკლებობა ორგანიზმში. დაბალანსირებული დიეტის მეშვეობით, რომელიც მდიდარია K ვიტამინით, შეიძლება შევაჩეროთ ტვინის ნაადრევი დაბერება და ალცჰაიმერის დაავადება. რომელი პროდუქტები შეიცავს K ვიტამინს? ამ ვიტამინით მდიდარია ბრიუსელის კომბოსტო, ოხრახუში, ნიახური, მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული, რძემჟავა პროდუქტები. K ვიტამინის იდეალურ წყაროდ ბროკოლი ითვლება, რომელიც სასარგებლო მინერალებისა და ვიტამინების საბადოა.

**9. ომეგა-3**

ცხიმოვანი მჟავები. „ომეგა 3“-ის ცხიმოვანი მჟავებისადმი ინტერესი მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ რაც, დანიელმა მეცნიერებმა მრავალწლოვანი მეცნიერული დაკვირვებებით დაადგინეს, რომ გრენლანდიის მოსახლეობის გულსისხლძარღვოვანი დაავადებების გავრცელების (ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება და სხვ.) უაღრესად დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ ისინი საკვებად ძირითადად იყენებენ ზღვის პროდუქტებს. ალბათ გახსოვთ ფრაზა ბავშვობიდან: ჭამე თევზი, ტვინისთვის სასარგებლოაო. ასევე ომეგა-3 აუმჯობესებს მეხსიერებას; აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ, გულ-სისხლძარღვთა, ნერვულ და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების ფუნქციებს; არეგულირებს გულის რიტმს და ამცირებს გულის უკმარისობისა და იშემიური დაავადების განვითარების რისკს; ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას და არეგულირებს არტერიულ წნევას; აძლიერებს სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებს მათ ელასტიკურობას; ამაღლებს შრომისუნარიანობას და ორგანიზმის საერთო ტონუსს; ახასიათებს გამოხატული ანტიოქსიდანტური მოქმედება.

რომელ პროდუქტებშია ომეგა-3? თევზი – საუკეთესო წყაროა ცხიმოვანი მჟავების. პარკოსნები, თხილეული...

# ბოგდან ბეზკროვნი: „გაფასებთ და მიყვარხარ, საქართველო!“

თელავის მეკარე, უკრაინელი ბოგდან ბეზკროვნი, ახლა საქართველოში, საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისგან მოშორებით იმყოფება. 23 წლის ფეხბურთელთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– როგორ გყავთ ოჯახი? წარმოგვიდგენია თქვენი მდგომარეობა, სამშობლოში ომია.***

– ულრმესი მადლობა თანადგომისა და მხარდაჭერისთვის. ჩემი ოჯახი, დედა და უმცროსი და-ძმა, კიევიდან დასავლეთ უკრაინაში არიან გახიზნულები. იქ შედარებით სიმშვიდეა, არ ისვრიან და, რაც მთავარია, არ ესვრიან მოსახლეობას. მამა კიევში დარჩა, იბრძვის და, რაც შეუძლია, ყველანაირად ეხმარება ხალხს, უკრაინას.



***– ასეთ ვითარებაში კონცენტრირებას მაინც ახერხებთ და საყვარელ საქმეს დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით, პროფესიონალურად უდგებით. რა გაძლევთ მოტივაციას?***

– ისევ და ისევ ჩემი ოჯახი და მეგობრები, ყოველდღე, დღეში რამდენჯერმე ვუკავშირდებით ერთმანეთს და ვამხნევებთ. მამა ყოველი თამაშის წინ მეუბნება, რომ მშვიდად ვიყო და ვაკეთო ჩემი საქმე ისე, რომ არავინ დავაღალატო, რომ ჩემი გუნდისთვის არაფერი დავიშურო და ჩემი წარმატებები მისთვის სიამაყე და ბედნიერებაა. იმავეს მეუბნებიან ჩემი მეგობრებიც – ოჯახს, მეგობრებს ჩვენი გუნდის თამაშის ვიდეოლინკს ვუგზავნი და ისინი ამ მძიმე პერიოდშიც მიყურებენ და მქომაგობენ.

***– და, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, თქვენი განწყობა ზუსტად აისახება მოედანზეც: მშვიდად და ცივსისხლიანად, სრულად ხართ ჩართული თამაშში.***

– ეს უფრო ჩვენი გუნდის და მცველების დამსახურებაა. დიდი მადლობა მათ. მართლაც ძალიან ძლიერი მცველები გვყავს, რომელთაც მშვენივრად ესმით ერთმანეთის და როცა თამაშის დროს ვკარნახობ, ჩვენი ურთიერთგაგება უფრო მამშვიდებს. ზოგადად, ძალიან დაბალანსებული, საკმაოდ მეგობრული და კარგი გუნდი გვყავს, არაჩვეულებრივი მწვრთნელი და მისი სტაფი, მონდომებული და საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული კლუბის ხელმძღვანელობა გვყავს.

***– თელავში ადრეც თამაშობდით, თუმცა მაშინ იჯარით მოგიხდათ წასვლა. ამ სეზონის დაწყების წინ სიხარულით დაბრუნდით. რას ნიშნავს თქვენთვის თელავი?***

– თელავი მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან პირველი უცხოური კლუბია ჩემს კარიერაში და მოხდა ისე, რომ პირველ დიდ წარმატებას სწორედ თელავთან ერთად მივაღწიე, როცა უმაღლეს ლიგაში გადავედით. ის სასწაული ემოციები დღემდე განუმეორებელია. დღემდე მომყვება ის სასიამოვნო დრო, თელაველი ხალხის სიყვარული და პატივისცემა და, როცა დაბრუნება შემომთავაზეს, მართლაც ძალიან დიდი სიხარულით დავთანხმდი: მიყვარს თელავი, აქაური ხალხი და გულშემატკივრები, ძალიან მსიამოვნებს და მომწონს აქაურობა.

***– გულშემატკივრები ახსენეთ. თელავს მართლაც გამორჩეული ქომაგი ჰყავს, ბოლნისში, სიონთან მატჩისას რამდენჯერმე განსაკუთრებულად გაგამხნევეს.***

– მესმოდა მათი შეძახილები და ახლაც ჟრუანტელი მივლის, ძალიან სასიამოვნო და ამაღელვებელი იყო ქომაგთა მხარდაჭერა. არ დავმალავ, თამაშის დროს სიამაყისა და ბედნიერებისგან ცრემლიც კი წამსკდა. დიდი მადლობა მათ თანადგომისთვის და, ზოგადად, მინდა, ულრმესი მადლობა გადავუხადო სრულიად საქართველოსა და ქართველ ხალხს. აქ ვარ, ვხედავ და ვგრძნობ ყველაფერს, როგორ გულშემატკივრობთ უკრაინას, ჩემს სამშობლოს, როგორ ემოციურად განიცდით და რეაგირებთ – მადლობა თელავს, მადლობა, ქართველებო, გაფასებთ და მიყვარხარ, საქართველო!

# თსუ გალიდერდა, ბათუმმა ქუთაისს მარტივად მოუგო

**თსუ-რუსთავი 78:73**
(15:22, 18:22, 19:14, 26:15)

ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა თსუ-მ რუსთავი 78:73 დაამარცხა. ამ მატჩში ლიდერი ერთადერთხელ, თამაშის დასრულებამდე 1 წუთით ადრე შეიცვალა. თსუ 39 წუთის განმავლობაში აგებდა. მესამე პერიოდში მეტოქეს 12 ქულითაც ჩამორჩებოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მაგრად ითამაშეს და გამარჯვება იზეიმეს.

პირველი პერიოდი რუსთაველებმა 22:15 მოიგეს, მეორეში 22:18 იძალეს და დიდ შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდნენ – 44:33. მესამე პერიოდში მოედანზე ვითარება არ შეცვლილა, მაგრამ თსუ არ გატყდა. ბოლო პერიოდის წინ სტუმრები 6 ქულით იგებდნენ და დაახლოებით ამ სხვაობით მივიდა თამაში ბოლო წუთებამდე. შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე რუსთავი 73:65 ლიდერობდა და გამარჯვება თითქმის განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მჭიდრო პრესინგის ხარჯზე თსუ-მ ქულა აღარ ჩააგდებინა, თავად კი 13 მიითვალა და მოგებაც გაიფორმა.

მატჩის გმირმა და საუკეთესო მოთამაშე ლოველ ქაბილმა 32 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა და 4 ჩაჭრა მოაგროვა. რაილ ოუენსის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა. რუსთაველთაგან 21 ქულით ლუვეინ პიპკინსი გამოირჩა, ხოლო იშმაელ ჰოლისის ანგარიშზე 18 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.



**ბათუმი-ქუთაისი 98:73**
(27:11, 26:26, 26:20, 19:16)

აჭარული გუნდი დაკარგული ქულებით ჩემპიონატის ლიდერ ქუთაისს შეხვდა და მოულოდნელად დიდი სხვაობით დაამარცხა. კოტე ტულუშის გუნდმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია ცხრილის შუაში მყოფ ზღვისპირელებს და 25 ქულით დამარცხდა – 98:73.

მასპინძელთაგან დიდებულად ითამაშა სოსო გოგნაძემ, რომელსაც ეროვნული ნაკრების 2 კალათბურთელთან (აკაკი დვალიშვილი, გიორგი კორსანტია) დუელში გამარჯვებული გამოვიდა. ბათუმელთა ცენტრმა თამაშიდან ნასროლი 11 ბურთიდან 10 ჩააგდო, რასაც 8-დან 6 საჯარიმო მოაყოლა და შეხვედრა 26 ქულით და 10 მოხსნით დაასრულა. შესანიშნავად გაისარჯა ბათუმელთა ახალწვეული კაილ რიდლი – 22 ქულა და 11 მოხსნა. კიდევ ერთმა ახალწვეულმა – დე ანჯელო სტიუარტმა ბათუმელებს 16 ქულა მიაშველა.

**ცხუმი-ოლიმპი 86:97**
(22:27, 26:26, 21:14, 17:30)

ოლიმპმა დაძაბულ ბრძოლაში 97:86 დაამარცხა ცხუმ-აფხაზეთი და მე-4 პოზიცია გაიმყარა. მატჩში ლიდერი 11-ჯერ შეიცვალა, ხოლო 6-ჯერ თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა. საბოლოოდ კი იმ გუნდმა გაიმარჯვა, რომელმაც გადამწყვეტ პერიოდში უკეთესად ითამაშა და ეს გახლდათ დავით როგავას გაწვრთნილი ოლიმპი.

გამარჯვების მთავარი ფაქტორი გივი ბაქრაძე იყო, რომელმაც 20 ქულა და მიმდინარე სუპერლიგისთვის სარეკორდო 15 პასი გაიღო.

შესანიშნავი სტატისტიკა ჰქონდა ცხუმ-აფხაზეთის ამერიკელ ლეგიონერ მარქილ სმიტსაც – 31 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი, მაგრამ ამისი გარჯა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**მეგა-ვერა 87:89**
(24:21, 23:17, 11:26, 29:25)

მატჩი საინტერესოდ და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და საბოლოოდ ვერელთა გამარჯვებით დასრულდა – 89:87.

პირველი პერიოდი მეგამ 24:21 მოიგო, რის შემდეგაც უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი ლიდერობით გავიდა – 47:38. მესამე პერიოდი ვერელთათვის გარდამტეხი აღმოჩნდა. დავით გასიტაშვილის გუნდმა ათწუთეული 26:11 მოიგო და ბოლო პერიოდს ლიდერის როლში შეხვდა. ბოლო პერიოდში ზაკ სელიასისა და თაჩ უნრუჰის ლიდერობით ვერამ ლიდერობა 10 ქულამდე გაზარდა და სასურველ გამარჯვებას მიაღწია.

გამარჯვებულებს 28 ქულით, 11 მოხსნით და 7 პასით სელიასმა ულიდერა. 20 ქულა უნრუჰმა მიითვალა, ხოლო ვახტანგ ქადარიას ანგარიშზე 17 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. მეგაში 33 ქულით ოთარ ბულიავა გამოირჩა.

**კაკტუსი-დინამო 97:60**
(32:12, 23:15, 15:15, 27:18)

კაკტუსმა აუტსაიდერი დინამო დაამარცხა, ჟოლივეტ ტუჯანის გაწვრთნილ დინამოელებს კი 12 მატჩიდან 11 წაგება აქვთ და დარჩენილ 8 მატჩში დიდი ძალისხმევა მართებთ, სუპერლიგიდან რომ არ გავარდნენ.

კაკტუსმა დინამოელებს ხელი პირველსავე ტაიმში მოუთავა – 55:27 მოუგო, შესვენების შემდეგ კი იმხელა უპირატესობა მოიპოვა, მატჩმა ინტერესი დაკარგა.

გამარჯვებულთაგან 29 ქულით საუკეთესო იყო დერიკ ნიუტონი. 17 ქულა და 11 მოხსნა დენზელ ლივინგსტონმა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 12 | 10 | 2999-924 | 22 |
| 2.ვერა | 12 | 9 | 31063-1056 | 21 |
| 3.ქუთაისი | 11 | 9 | 2993-885 | 20 |
| 4.ოლიმპი | 7 | 5 | 977-934 | 19 |
| 5.ბათუმი | 12 | 6 | 61016-974 | 18 |
| 6.რუსთავი | 12 | 5 | 7962-1003 | 17 |
| 7.მეგა | 12 | 5 | 7946-967 | 17 |
| 8.ტიტები | 11 | 5 | 6893-869 | 16 |
| 9.ცხუმი | 12 | 4 | 8951-997 | 16 |
| 10.კაკტუსი | 12 | 4 | 8899-943 | 16 |
| 11.დინამო | 12 | 1 | 11961-1108 | 13 |

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## შედეგები

### 6 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უოტფორდი-არსენალი ................. 2:3
სიტი-იუნაიტედი .......................... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 28 | 22 | 3 | 3 | 68-18 | 69 |
| 2.ლივერპული | 27 | 19 | 6 | 2 | 71-20 | 63 |
| 3.ჩელსი | 26 | 15 | 8 | 3 | 53-18 | 53 |
| 4.არსენალი | 25 | 15 | 3 | 7 | 41-29 | 48 |
| 5.მანჩესტერი | 28 | 13 | 8 | 7 | 45-38 | 47 |
| 6.ვესტ ჰემი | 28 | 13 | 6 | 9 | 46-35 | 45 |
| 7.ტოტენჰემი | 25 | 13 | 3 | 9 | 35-32 | 42 |
| 8.ვულვზი | 27 | 12 | 4 | 11 | 24-23 | 40 |
| 9.საუთჰემპტონი | 27 | 8 | 11 | 8 | 34-41 | 35 |
| 10.კრ.პალასი | 28 | 7 | 12 | 9 | 39-38 | 33 |
| 11.ასტონ ვილა | 26 | 10 | 3 | 13 | 37-37 | 33 |
| 12.ლესტერი | 25 | 9 | 6 | 10 | 40-43 | 33 |
| 13.ბრაიტონი | 27 | 7 | 12 | 8 | 26-32 | 33 |
| 14.ნიუკასლი | 26 | 6 | 10 | 10 | 30-46 | 28 |
| 15.ბრენტფორდი | 28 | 7 | 6 | 15 | 30-45 | 27 |
| 16.ლიდსი | 27 | 5 | 8 | 14 | 29-61 | 23 |
| 17.ევერტონი | 24 | 6 | 4 | 14 | 28-41 | 22 |
| 18.ბარნლი | 26 | 3 | 12 | 11 | 22-36 | 21 |
| 19.უოტფორდი | 27 | 5 | 4 | 18 | 27-50 | 19 |
| 20.ნორვიჩი | 27 | 4 | 5 | 18 | 16-58 | 17 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ჰოფენჰაიმი ...................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 25 | 19 | 2 | 4 | 76-27 | 59 |
| 2.დორტმუნდი | 24 | 16 | 2 | 6 | 64-37 | 50 |
| 3.ლევერკუზენი | 25 | 13 | 6 | 6 | 64-40 | 45 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 25 | 13 | 4 | 8 | 48-36 | 43 |
| 5.ლაიფციგი | 25 | 12 | 5 | 8 | 51-29 | 41 |
| 6.ფრაიბურგი | 25 | 11 | 8 | 6 | 40-27 | 41 |
| 7.უნიონი | 25 | 10 | 7 | 8 | 32-33 | 37 |
| 8.კიოლნი | 25 | 9 | 9 | 7 | 36-39 | 36 |
| 9.მაინცი | 24 | 10 | 4 | 10 | 35-29 | 34 |
| 10.აინტრახტი | 25 | 9 | 7 | 9 | 37-37 | 34 |
| 11.ბოხუმი | 25 | 9 | 5 | 11 | 27-35 | 32 |
| 12.ვოლფსბურგი | 25 | 9 | 4 | 12 | 27-37 | 31 |
| 13.გლადბახი | 25 | 7 | 6 | 12 | 34-51 | 27 |
| 14.აუგსბურგი | 25 | 6 | 8 | 11 | 27-41 | 26 |
| 15.არმინია | 25 | 5 | 10 | 10 | 22-33 | 25 |
| 16.ჰერტა | 25 | 6 | 5 | 14 | 26-58 | 23 |
| 17.შტუტგარტი | 25 | 5 | 7 | 13 | 31-47 | 22 |
| 18.ფიურტი | 25 | 3 | 5 | 17 | 23-64 | 14 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვერდერი-დინამო ......................... 2:1
ფორტუნა-ინგოლშტადი .............. 3:0
აუე-რეგენსბურგი ........................ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

კადისი-რაიო ............................... 2:0
ელჩე-ბარსელონა ........................ 1:2
სელტა-მალიორკა ........................ 4:3
ბეტისი-ატლეტიკო ........................ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 27 | 19 | 6 | 2 | 56-21 | 63 |
| 2.სევილია | 27 | 15 | 10 | 2 | 39-18 | 55 |
| 3.ბარსელონა | 26 | 13 | 9 | 4 | 48-29 | 48 |
| 4.ატლეტიკო | 27 | 14 | 6 | 7 | 50-35 | 48 |
| 5.ბეტისი | 27 | 14 | 4 | 9 | 49-35 | 46 |
| 6.სოსიედადი | 27 | 12 | 8 | 7 | 28-29 | 44 |
| 7.ვილიარეალი | 27 | 11 | 9 | 7 | 47-26 | 42 |
| 8.ბილბაო | 26 | 9 | 10 | 7 | 29-25 | 37 |
| 9.ვალენსია | 27 | 9 | 9 | 9 | 41-43 | 36 |
| 10.სელტა | 27 | 9 | 8 | 10 | 33-31 | 35 |
| 11.ოსასუნა | 27 | 9 | 8 | 10 | 26-31 | 35 |
| 12.ესპანიოლი | 27 | 8 | 8 | 11 | 33-40 | 32 |
| 13.რაიო | 26 | 9 | 4 | 13 | 28-32 | 31 |
| 14.ელჩე | 27 | 7 | 8 | 12 | 29-39 | 29 |
| 15.ხეტაფე | 27 | 6 | 9 | 12 | 26-32 | 27 |
| 16.მალიორკა | 27 | 6 | 8 | 13 | 26-45 | 26 |
| 17.გრანადა | 27 | 5 | 10 | 12 | 28-43 | 25 |
| 18.კადისი | 27 | 4 | 12 | 11 | 23-39 | 24 |
| 19.ალავესი | 27 | 5 | 7 | 15 | 21-44 | 22 |
| 20.ლევანტე | 26 | 3 | 9 | 14 | 28-51 | 18 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ალკორკონი ....................... 1:0
პონფერადინა-იბიცა ..................... 1:1
ამორებიეტა-მალაგა .................... 1:2
ლეგანესი-მირანდესი .................... 2:0
კარტახენა-ეიბარი ....................... 4:1
ხირონა-ოვიედო ........................... 2:1

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-ემპოლი ............................. 0:0
ბოლონია-ტორინო ........................ 0:0
ვენეცია-სასუოლო ........................ 1:4
ფიორენტინა-ვერონა ..................... 1:1
იუვენტუსი-სპეცია ........................ 1:0
ნაპოლი-მილანი ........................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 28 | 18 | 6 | 4 | 54-29 | 60 |
| 2.ინტერი | 27 | 17 | 7 | 3 | 60-22 | 58 |
| 3.ნაპოლი | 28 | 17 | 6 | 5 | 49-20 | 57 |
| 4.იუვენტუსი | 28 | 15 | 8 | 5 | 42-25 | 53 |
| 5.რომა | 28 | 14 | 5 | 9 | 46-34 | 47 |
| 6.ატალანტა | 27 | 13 | 8 | 6 | 50-31 | 47 |
| 7.ლაციო | 28 | 13 | 7 | 8 | 57-42 | 46 |
| 8.ფიორენტინა | 27 | 13 | 4 | 10 | 46-37 | 43 |
| 9.ვერონა | 28 | 11 | 8 | 9 | 53-44 | 41 |
| 10.სასუოლო | 28 | 10 | 9 | 9 | 49-46 | 39 |
| 11.ტორინო | 27 | 9 | 7 | 11 | 33-28 | 34 |
| 12.ბოლონია | 27 | 9 | 6 | 12 | 32-42 | 33 |
| 13.ემპოლი | 28 | 8 | 8 | 12 | 40-53 | 32 |
| 14.უდინეზე | 26 | 6 | 11 | 9 | 34-43 | 29 |
| 15.სამპდორია | 28 | 7 | 5 | 16 | 36-48 | 26 |
| 16.სპეცია | 28 | 7 | 5 | 16 | 28-50 | 26 |
| 17.კალიარი | 28 | 5 | 10 | 13 | 28-51 | 25 |
| 18.ვენეცია | 27 | 5 | 7 | 15 | 25-51 | 22 |
| 19.ჯენოა | 28 | 1 | 15 | 12 | 22-47 | 18 |
| 20.სალერნიტანა | 26 | 3 | 6 | 17 | 20-61 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ფროზინონე ..................... 1:1
ვიჩენცა-ტერნანა ......................... 3:1
კროტონე-ალესანდრია ................. 0:0
პერუჯა-ლეჩე ............................... 1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

სტ.ეტიენი-მეცი ............................ 1:0
ბორდო-ტრუა .............................. 0:2
ნანტი-მონპელიე .......................... 2:0
რეიმსი-სტრასბური ....................... 1:1
რენი-ანჟე ..................................... 2:0
ლილი-კლერმონი ......................... 4:0
მარსელი-მონაკო ......................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 19 | 5 | 3 | 56-24 | 62 |
| 2.ნიცა | 27 | 15 | 5 | 7 | 38-21 | 49 |
| 3.მარსელი | 27 | 13 | 8 | 6 | 39-25 | 47 |
| 4.რენი | 27 | 14 | 4 | 9 | 53-25 | 46 |
| 5.სტრასბური | 27 | 12 | 8 | 7 | 49-32 | 44 |
| 6.ნანტი | 27 | 12 | 6 | 9 | 36-29 | 42 |
| 7.ლილი | 27 | 11 | 9 | 7 | 37-35 | 42 |
| 8.მონაკო | 27 | 11 | 8 | 8 | 40-29 | 41 |
| 9.ლიონი | 27 | 11 | 9 | 7 | 38-33 | 41 |
| 10.ლანსი | 27 | 11 | 7 | 9 | 42-38 | 40 |
| 11.მონპელიე | 27 | 11 | 4 | 12 | 41-40 | 37 |
| 12.ბრესტი | 27 | 9 | 8 | 10 | 35-38 | 35 |
| 13.რეიმსი | 27 | 7 | 11 | 9 | 31-31 | 32 |
| 14.ანჟე | 27 | 7 | 8 | 12 | 31-40 | 29 |
| 15.კლერმონი | 27 | 7 | 7 | 13 | 27-46 | 28 |
| 16.ტრუა | 27 | 6 | 7 | 14 | 25-41 | 25 |
| 17.სტ.ეტიენი | 27 | 6 | 7 | 14 | 28-50 | 25 |
| 18.ლორიანი | 27 | 5 | 9 | 13 | 22-43 | 24 |
| 19.მეცი | 27 | 4 | 10 | 13 | 25-46 | 22 |
| 20.ბორდო | 27 | 4 | 10 | 13 | 38-65 | 22 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

პსვ-ერაკლესი .............................. 3:1
ტვენტე-კამბური ........................... 1:0
აიაქსი-ვალვაიკი .......................... 3:2
ნაიმეგენი-ალკმაარი .................... 1:3
სიტარდი-ზვოლე .......................... 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-მარიტიმუ ................ 0:1
ფერეირა-პორტუ ......................... 2:4
გიმარაეში-ფამილიკაო ................ 2:1
სანტა კლარა-ვიზელა .................. 3:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-ბეერსხოტი ............... 2:1
ანდერლეხტი-ოსტენდე ................ 3:0
შარლერუა-სტანდარდი ................ 0:0
გენტი-ვარეგემი .......................... 2:1
ეუპენი-ლეუვენი .......................... 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-აუსტრია ......................... 1:2
ვოლფსბერგერი-ლინცერი .......... 1:0
რაპიდი-კლაგენფურტი ................ 3:0
რიდი-შტურმი ............................. 2:2
ჰარტბერგი-ტიროლი ................... 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-სელტიკი .......... 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაგუმრუქი-ალტაი ................... 0:0
ანთალია-სივასი .......................... 1:0
ფენერბახჩე-ტრაბზონი ............... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ასტერასი ............................ 2:1
არისი-ოლიმპიაკოსი .................. 2:1
ატრომიტოსი-პანათინაიკოსი ...... 0:2
ვოლოსი-იანინა .......................... 0:0
იონიკოსი-პანეთოლიკოსი ........... 1:2
ლამია-პაოკი .............................. 0:2
ოფი-აპოლონი ............................ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ბაზელი ......................... 0:2
გრასჰოპერსი-სერვეტი ................ 2:4
სტ.გალენი-სიონი ........................ 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-კარვინა .................. 1:0
ტეპლიცე-სლოვაცკო .................. 0:1
იაბლონეცი-ჰრადეც კრალოვე .... 1:1
სლავია-სპარტა ....................... 2:0

**პოლონეთი. ექსტრალიგა**

ვისლა-ლენჩნა ............................. 3:1
გურნიკი-კრაკოვია ..................... 3:0
ლეხი-ჩენსტოხოვა ...................... 0:1

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

ზალაეგერსეგი-ფეჰერვარი ......... 2:0
ფერენცვაროში-კიშვარდა .......... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ოდენსე ................. 2:2
ოლბორგი-ვაილე ........................ 0:0
სილკებორგი-ბრონდბიუ ............. 0:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთის რაიონში; 2. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 3. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 4. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი; 7. ფულის ერთეული პოლონეთში; 9. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 12. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. პიტნით, ყინულით შეზავებული ვისკი ან რომი; 15. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 17. ლუდისა და ღვინის მწარმოებელი ფრანგული კომპანია; 20. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად.

**თარაზულად:** 5. უბანი თბილისში; 6. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი – ბარიტონი; 8. ქართული ხალხური ცეკვა; 10. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 11. დედამიწის თანამგზავრი; 13. ქალაქ დონეცკის ძველი სახელწოდება; 16. ქალის ძველებური ხელჩანთა; 18. შოკოლადის ხე; 19. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 21. ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად განადგურებული ქალაქი; 22. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა – მოდუნება; 23. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კონკური; 2. ქართლი; 3. მოკასინი; 4. სინოპეკი; 7. კონდიტერი; 8. ფრეჟიუსი; 12. კაროტინი; 14. ესტაკადა; 16. ტყიბული; 17. სახიობა; 19. კები; 20. ბრნო.

**თარაზულად:** 5. ხოჭოლავა; 6. სტოკჰოლმი; 9. ლუგანო; 10. ლოპესი; 11. ტენგე; 13. შაშხი; 15. ესქილე; 18. წყალი; 21. ზავენტემი; 22. უიარაღო; 23. ფილიპსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხერგიანი; 2. სუეცი; 3. ყაპუზუნა; 4. ქიზიყი; 7. გნოლი; 9. გრევე; 12. კრიტერიუმი; 14. დუქანი; 15. თავთუხი; 17. პატენტი; 20. გუელი.

**თარაზულად:** 5. ფელამუში; 6. სუარესი; 8. ბოცმანი; 10. კელასური; 11. ონაგრი; 13. ჩხავერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ივერი; 21. პუანტი; 22. ახმეტელი; 23. გაუტამა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3991

ევრო — 3.6802

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4708

100 რუსული რუბლი — 2.4641

## ამინდის პროგნოზი 8 მარტისათვის




## რანგნიკს რონალდუსთან ურთიერთობა ისევ დაეძაბა



რალფ რანგნიკს კრიშტიანო რონალდუსთან ურთიერთობა ისევ დაეძაბა და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ რონალდუმ მანჩესტერის ბოლო შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღო.

გარდა ამისა, შესაძლოა, ამის გამო რონალდუმ იუნაიტედი დატოვოს კიდეც, რაზეც ასევე ხშირად იწერება უცხოურ მედიაში.

თუ ის გუნდში დარჩა, სავარაუდოდ, რანგნიკი მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელი აღარ იქნება.

## მემფის დეპაი: „ვიცოდი, პენალტს როგორ დავარტყამდი“



ბარსელონამ სტუმრად ელჩე 2:1 დაამარცხა და შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი მემფის დეპაიმ გაიტანა თერთმეტმეტრიანი დარტყმით.

დეპაიმ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მან ზუსტად იცოდა, თუ როგორ შეასრულებდა დარტყმას:

– ჩვენ უფრო კომფორტულადაც შეგვეძლო მოგვეგო, მაგრამ მთავარი შედეგია და, ბედნიერი ვარ, რომ გუნდს გამარჯვება მოვუტანე. მუშაობა უნდა გავაგრძელოთ.

## კლოპი 2024 წელს ლივერპულიდან წასვლას აპირებს

იურგენ კლოპის შესახებ ინგლისურ მედიაში საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც, გერმანელი სპეციალისტი, დიდი ალბათობით, 2024 წელს ლივერპულს დატოვებს. ასეთი რამ თვითონ კლოპმა განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც მან თქვა, რომ სურს, ოჯახს უფრო მეტი დრო დაუთმოს და 2 წლის შემდეგ თავის საფეხბურთო საქმიანობაში პაუზას აიღებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## გოგა ბითაძის პირადი რეკორდი



გოგა ბითაძემ ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ლიგაში კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ინდიანა პეისერსის 22 წლის ქართველმა ცენტრმა პირადსარეკორდო 20 ქულა მიითვალა, თან ისე, რომ ყველა სროლა ჩააგდო. თუმცა, მისი გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა და ინდიანამ ვაშინგტონთან 123:133 წააგო. ბითაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 24 წუთში 4-დან 4 ორქულიანი, 3-დან 3 სამიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. მოპოვებულ 20 ქულას ქართველმა ცენტრმა 6 მოხსნაც მოაყოლა.

ინდიანას 22 მოგების წილ 44 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილზე იმყოფება. მომდევნო მატჩი ინდიანელებს კლივლენდთან ელით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## იუმორი

•••

მამაკაცი ტელეფონზე რეკავს და კითხულობს:

– დილა მშვიდობისა, გივი, როგორ არის პროექტის საქმე?

– თქვენთვის ორი ამბავი მაქვს...

– კარგი, დაიწყეთ.

– საიდან მოიტანეთ, რომ კარგი ამბავი მაქვს სათქმელი?

•••

კონკია:

– ფეხსაცმელი იდეალურად მომერგო. ქორწილი როდის გვექნება?

პრინცი:

– ნუ ჩქარობ, ეს ჯერ ნახევარფინალი იყო, ახლა კი ბუზღალტერს მოგაზომებ...

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გამომყევი ცოლად!

– დილით გამოფხიზლდები და გადაიფიქრებ!

– გეფიცები, არ გამოვფხიზლდები!

•••

ფსიქოლოგიური ტესტი ოპტიმისტისთვის.

ფსიქოლოგი:

– თქვენ პაპა გარდაგეცვალათ.

ოპტიმისტი:

– მეორეც მყავს.

– დასაფლავებაზე გაგვიანდებათ.

– მანქანაში ჩავჯდები და გავაქროლებ.

– მაგრამ თქვენ საჭესთან ჯდომის გეშინიათ.

– გამბედაობისთვის დავლევ.

– დალევთ და პატრული გაგაჩერებთ.

– მოველაპარაკები, მოვრიგდებით.

– ვერ მორიგდებით, პატრული ქალია.

– გავიცნობ.

– მაგრამ ის შეუხედავია.

– მერე რა, მე ხომ მთვრალი ვარ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## გიგა კვენეტაძე: „დაანებეთ თავი ქართველი ცნობილი სახეების ბულინგს“



რუსეთში მოღვაწე ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი გიგა კვენეტაძე ქართველ საზოგადოებას მეტი გონიერებისკენ მოუწოდებს:

– ისე არ ქნათ, როცა მშვიდობა დაისადგურებს და თქვენს ნაჯღაბნებს გადაიკითხავთ, შეგრცხვეთ, დაანებეთ თავი ქართველი ცნობილი სახეების ბულინგს, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობენ და, თუ მაინც ნამუსი ერთი ბეწოც არ შეგრჩათ, ლოკაციას დაგიდებთ, საიდან უნდა გამოექანოთ.

## ნინი შერმადინს უკრაინელი დაობლებული ბავშვების აყვანა სურს



მომღერალი ნინი შერმადინი აცხადებს, რომ უკრაინაში დაობლებული ბავშვების აყვანის დიდი სურვილი აქვს:

– ბავშვები უკვე უშვილებიათ. თუ ვინმე დარჩა მშობლების გარეშე, არა აქვს ასაკს მნიშვნელობა, არც ეროვნებას, არც შეზღუდული უნარების მქონე ბავშვს, ვიშვილებ სიამოვნებით 5 ბავშვს, ვასწავლი, ამერიკაში წავიყვან, მოვუვლი, ჩავაცმევ და სითბოსა და სიყვარულს არ მოვაკლებ! იქნებ დამაკვალიანოთ ან მიაწოდოთ ჩემი კოორდინატები.

## რუსთაველის თეატრმა უკრაინელებს უმასპინძლა




რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა უკრაინელებს უსასყიდლოდ უმასპინძლა. თეატრმა საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეებისთვის რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლი „ერთხელ...მხოლოდ“ წარმოადგინა.

სპექტაკლი უსიტყვოდ, პლასტიკისა და მუსიკის თანხლებით ამბობს სათქმელს, რომელსაც უდიდესი ემოციით, მადლიერებითა და ცრემლებით შეხვდა უკრაინელი მაყურებელი.

რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გამოხატა სოლიდარობა და მხარდაჭერა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ.

## ტარიელ სუარმა უკრაინელების დასახმარებლად კონცერტი გამართა




ცნობილმა გიტარისტმა ტარიელ სუარმა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად კონცერტი გამართა.

კლასიკური გიტარის კონცერტზე მან მსმენელისთვის მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები შეასრულა.

უკრაინელებისთვის დასახმარებელი საქველმოქმედო საღამო ია ფარულავას სასტუმრო „ქისში“ გაიმართა.

## გიგი პიანომენმა რუსებისთვის უკრაინული სიმღერა დაუკრა



პიანისტმა გიგი პიანომენმა რუსი ტურისტებისთვის ცნობილი უკრაინული სიმღერა „ჩერნობრივცი“ დაუკრა.

ამბავი მისმა მეგობარმა მიშა ჟღენტმა გაავრცელა:

– ერთ ადგილზე უკრავდა ცნობილი პიანისტი გიგი პიანომენი. მასთან მივიდა მოსკოველი რუსი ორ ქალბატონთან ერთად და დაუდო 100-დოლარიანი, ნუ, როგორც მერე გავიგე, რამე ჩვენებური დაუკარიო. გიგიმ გამოართვა ფული, რაც მე და მეგობრებს ძალიან გაგვიკვირდა, მაგრამ, მერე რაც მოხდა, იყო კაცობის გაკვეთილი.

გიგი დაჯდა და უთხრა მათ, ეს თქვენ გეძღვნებათო და დაუკრა უკრაინული სიმღერა „ჩერნობრივცი“. ეს იყო შოკი.

ესენი ისე აწითლდნენ, ადგნენ, რის შემდეგაც გიგიმ ფული უკან, პიჯაკში ჩაუდო და უთხრა, ეს ფული გუშინ გარდაცვლილ ბავშვს გაუგზავნეო...

იმწუთში დატოვეს რესტორანი, დაჟე გავიგონე, ქალები ლიფტთან ამბობდნენ, ხომ ვამბობდი, ქართველი ასეთი „კრუტოიაო“.

მოკლედ, გიგი, შენ ხარ კაცი! მადლობა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 8 მარტისათვის

**ვერძი** – ემოციური დაძაბულობა პარტნიორთან ან ახლობელთან წაგაჩხუბებთ. სერიოზული საქმით ნუ დაკავდებით. **კური** – ფინანსური პრობლემები გვერდზე დარჩება. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. **ტყუპები** – შემოსავალი გეზრდებათ. ელოდეთ ახალ, საინტერესო შემოთავაზებებს. **კირჩხიბი** – შესაძლოა, თქვენთვის ხელსაყრელი სამსახური იშოვოთ. უკმაყოფილო არ დარჩებით. საქმიან ქაღალდებზე ხელმოსაწერად შესაფერისი დღეა. **ლომი** – პარტნიორის ქარაფშუტობა კონფლიქტს გამოიწვევს. ყველანაირად ეცადეთ, სკანდალი თავიდან აირიდოთ. **ქალწული** – გადაღლას ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვება. ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ. **სასწორი** – ცვლილებები იწყება. ეს შეეხება როგორც სამსახურს, ისე პირად ცხოვრებას. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. პრობლემები გექმნებათ. ოჯახურ კონფლიქტს მხოლოდ მოთმინებითა და სიყვარულით აიცილებთ თავიდან. **მშვილდოსანი** – წარმატება გელით როგორც პროფესიონალურ სფეროში, ისე პირად ურთიერთობებში. შესაძლოა, დაგაწინაურონ. **თხის რქა** – აქტიურობის დროა. თქვენი მიზანდასახულობა დაფასდება. მთავარია, საქმე პატიოსნად და პასუხისმგებლობით აკეთოთ. **მერწყული** – სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **თევზები** – განსაკუთრებით იღბლიანია დღის მეორე ნახევარი. სანუკვარი ოცნება გისრულდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საფრანგეთის პრეზიდენტი; 2. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 3. გულიანი კანფეტი; 4. უმაღლესი თანამდებობის პირთა სათათბირო ძველ საბერძნეთში; 7. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 8. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 12. უზბეკეთის დედაქალაქი; 14. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 16. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 17. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 19. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 20. ერთხმიანი სიმღერა ოპერაში.

**თარაზულად:** 5. მხარე გერმანიაში; 6. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 9. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. თურქული აბანო; 11. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 13. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 15. ბენტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18. მესაქონლეობის მსხვილი ფერმა ლათინურ ამერიკაში; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 22. მონასტერი ყვარლის რაიონში; 23. ხელით სატყორცნი ფეთქებადი ჭურვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

